ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 43 (1328)

30.X—5.XI, 1992 წ.



ამ უნიკალურ ფოტოზე ცენტრში დგას ედუარდ შევარდნაძე, მარჯვნივ — ზვიად გამსახურდია (სურათი გადაღებულია 1975 წელს). მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა...

(ჯემალ კასრაძის ფოტოარქივიდან)

## ფაქტი უკომენტაროდ

საარჩევნო კომისიის მონაცემებით ხმის მიცემის შედეგად ორი უძლიერესი ბლოკის „მშვიდობისა" და „11 ოქტომბერის" მიერ დაგროვილ ქულათა შეფარდება რამდენიმე რეგიონის მიხედვით ასე გამოიყურება:

### 1) თბილისი

„11 ოქტომბერი" — 812 129 ქულა
„მშვიდობა" — 809 835 ქულა

### 2) ქუთაისი

„11 ოქტომბერი" — 134 000 ქულა
„მშვიდობა" — 157 000 ქულა

### 3) ნინოწმინდა (ბოგდანოვკა), წალკა, ახალქალაქი

„11 ოქტომბერი" — 4 972 ქულა
„მშვიდობა" — 172 446 ქულა

## მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო

27 ოქტომბრის დილით მთელი ქალაქი ააფორიაქა პროგრამა „ნოვოსტიში" გადმოცემულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ აფხაზთა და მთიელთა კონფედერაციის რაზმებმა ქალაქ ოჩამჩირესთან გადმოსხეს დესანტი, გააფთრებული ბრძოლების შემდეგ გაანთავისუფლეს (?!) ქალაქი ოჩამჩირე და ახლა შემოგარენში გრძელდება ბრძოლებიო.

თუმცა ამ ცნობას ფეხდაფეხ მოჰყვა საქართველოს რადიოს განცხადება, რომ ეს ინფორმაცია ყალბი იყო და სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

მერამდენედ გავხდით ოსტანკინოს ტელევიზიის გამიზნული სიყალბის, პროვოკაციის მსხვერპლნი, კიდევ ვერ ვისწავლეთ, რომ არ დავუჯეროთ, შევამოწმოთ ხოლმე მისი ინფორმაციები.

## დეტექტური სიუჟეტი, ანუ ტანსაცმელი კილოგრამობით

ეგნატე ფიფიას სახელობის კლინიკურ საავადმყოფოში ახლობელთან ვიყავი. დერეფანში ჩოჩქოლი შევნიშნე. ცნობისმოყვარეობამ წამძლია. პირველად რაც გავარკვიე, ის იყო, რომ მედიცინის მუშაკები თავიანთ კოლეგებს ლანძღავდნენ. ჩემი ინტერესი უფრო იმან გაამძაფრა, რომ „კამათი" ძვირფასეულობის ექნება — ...

მერე და მერე, უკეთ რომ გავერკვიე, გავიგე — არც მეტი არც ნაკლები, ავსტრიიდან ლტოლვილებისთვის გამოგზავნილ ჰუმანიტარულ დახმარებას ყიდიდნენ. პერსონალის ნაწილი, თურმე იმიტომ ყოფილა აღშფოთებული, რომ საუკეთესო ტანსაცმელი შინაურებს დაენაწილებინათ.

ამასობაში ალებ-მიცემობამ კულმინაციას მიაღწია. თეთრ ხალათიანებს ყვითელ-წითელი ტანსაცმელი გამოჰქონდათ.

ნამდვილად ჰუმანიტარული დახმარება რომ იყო, იმაზეც ეტყობოდა, ტანსაცმელი ერთმანეთში არეულ-დაჭმუჭნილ-დაპრესილი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი დღესავით ნათელი იყო, საავადმყოფოს ერთ-ერთ თანამშრომელს მაინც ვკითხე — აქ იყიდება ლტოლვილებისთვის გამოგზავნილი ტანსაცმელი?

როგორც ჩანს, ამგვარი ყიდვა-გაყიდვა არცთუ ისე საიდუმლო იყო, რადგან ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დამიდასტურა და იქვე თავმოსაწონად ცელოფანის პარკიდან ამოალაგა ქალის თითქმის ახალი პერანგი, „უზმეიკო" ჯინსის შარვალი და მამაკაცის ქურთუკი — ფაქიზად ნახმარი.

ჩემს მუქარაზე, რომ ამ დანაშაულს შევატყობინებდი, სადაც ჯერ არს, შეფუცხუნდნენ, რამდენიმე კაცი კი გასაფრთხილებლად სარდაფისკენ გაიქცა.

საავადმყოფოს მთავარ ექიმს დავით ცქიტიშვილს ტელეფონით დავურეკე. დავურეკე იმ იმედით, რომ მის დაწესებულებაში ხელმძღვანელის მალულად დანაშაული ხდებოდა და მინდოდა საქმის ვითარება გამეცნო, რათა მას რაიმე ზომები მიეღო, რომ საავადმყოფოს პრესტიჟი ნაწილობრივ მაინც გადაერჩინა.

—ბატონმა დავითმა გაღიზიანებით და საკმაოდ უხეშად მიპასუხა: — თქვენ რა იცით, რომ ლტოლვილების ჰუმანიტარული დახმარება იყიდება. ჩვენ ერთ-ერთ ფირმასთან ხელშეკრულება გვაქვს დადებული და იმას ყიდიანო.

ჩემს ახსნა-განმარტებაზე, რომ ლაპარაკი ნახმარ-დაპრესილ ტანსაცმელზეა, ბატონმა დავითმა ისე უწმაწურად შემაგინა, წნევამ ამიწია და იქვე სკამზე რომ არ ჩამოვმჯდარიყავი, ალბათ წავიქცეოდი.

გარეთ რომ გამოვედი, ჩემს გვერდით სტაფილოსფერი ჟიგული გაჩერდა. საჭესთან ქალი იჯდა. მის გარდა სამი ახალგაზრდა კაცი.

როგორც შემდეგ გავიგე, ეს ქალი საავადმყოფოს თანამშრომელი თამარ ტყეშელაშვილი იყო. ჰუმანიტარული დახმარება სწორედ მას შეეტანა.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, თქვენთან მაქვს საქმე, მობრძანდით მანქანაში ვისაუბროთო, — შემიპატიჟა.

ცოტა არ იყოს შემეშინდა და მტკიცე უარი განვაცხადე. ჩემმა უარმა ქალი გააცოფა, ზრდილობის ნიღაბი ჩამოიხსნა — შე ბოროტო და ბოღმა, თვალებზე გეტყობა, რაცა ხარ. ფულს ვერ აკეთებ და სხვისი გშურს!

როგორც იქნა, თავი დავაღწიე, მაგრამ რად გინდათ, მთელი დღე ვერ მოვისვენე. ტელე-რადიო დეპარტამენტშიც დავრეკე, მაგრამ არ ვიცი, მივიდნენ თუ არა. არ იფიქროთ პირადი წყენა მალაპარაკებს. ვიღაცამ ხომ უნდა ამოიღოს ხმა. ყველა თუ გავჩუმდით, პირში წყალი ჩავიგუბეთ, კიდევ უფრო დაგვექცევა ისედაც დაქცეული ქვეყანა.

დარეჯან წიქარიშვილი

**რედაქციისაგან:** მადლობას ვწირავთ ქალბატონ დარეჯან წიქარიშვილს, რომ არ შეუშინდა არავის და ეს ამბავი რედაქციამდე მოიტანა. გთხოვთ ყველას, ვისაც აწუხებს ჩვენი ქვეყნის ბედი, არ დაუხუჭოთ თვალი არავითარ უმსგავსობას, მოიწეროთ ჩვენს გაზეთს. დროა, ყველამ ერთად ვიბრძოლოთ ჩვენი საზოგადოების გაჯანსაღებისათვის.

# იქ ასე ფიქრობენ...

(ინტერვიუ კინორეჟისორ ივარ სელეცკისთან)

— შენმა დოკუმენტურმა ფილმმა „ედუარდ შევარდნაძე. წარსულიდან მომავლისაკენ“, ახლახანს რომ გვიჩვენე კინოსტუდიაში, განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. საიდან გაგიჩნდა ამ ფილმის შექმნის იდეა?

— ჩემთვის მეტად მოულოდნელი იყო, როცა მოსკოველმა კოლეგებმა შემომთავაზეს, ხომ არ ვისურვებდი ასეთი ფილმის გადაღებას? ეს მოხდა 1991 წლის ივნისსა თუ ივლისში. ძალიან ცოტა მქონდა მოფიქრების დრო, თანაც, აგვისტოში უცებ პუტჩიც მოხდა. მხოლოდ ამის შემდეგღა შევძელით საქმისათვის ხელი მოგვეკიდა.

სიმართლე გითხრათ, ზოგიერთები იმასაც მეუბნებოდნენ, უარი მეთქვა, ასეთი ჩამოწერილი პოლიტიკოსი აღარავის დააინტერესებსო! მაგრამ გადაღების მთელი დრო ჩვენთვის არაჩვეულებრივად საინტერესოდ წარიმართა. ჩვენს თვალწინ დატრიალდა სხვადასხვა ამბები — საქართველოში, მოსკოვში, ამბიციები პოლიტიკაში, ადამიანთა ცხოვრებაში...

— მეხსიერებას როგორ შემორჩა შევარდნაძესთან პირველი შეხვედრა?

— ყველამ კარგად იცის, ვინ არის შევარდნაძე, მთელმა მსოფლიომ იცის, რა გაუკეთებია მას, — და ასეთი ფილმი, თუ კი ყველასათვის უკვე ცნობილს გავიმეორებდით, არავის დააინტერესებდა. თვითონვე გვითხრა: რისთვის გინდათ ეს ფილმი, რა გაინტერესებთო? ჟუპასუხე: გამოველინებინა თავისი თავი, პოლიტიკოსი, ადამიანური თვალსაზრისით. ასეც შევთანხმდით.

ჩვენ ისიც დაგვეხმარა, რომ თითქოს შორს ვდგავართ მოვლენებისგან, არა ვართ დაკომპლექსებულები, არავითარ პატივისცემას არ განვიცდით (ვგრძნობთ) მის მიმართ, ანდა სრულებით არ ვიცით ის, რაც სხვებმა იციან, და თუ ასეთ სიტუაციაში ხარ, პრივილეგია გეძლევა, შეიძლება ბევრი რაღაც აღმოაჩინო.

და მაინც ადვილი საქმე არ იყო ჩვენთვის. მაშინვე ნათელი გახდა, რომ შევარდნაძეს, როგორც დიპლომატს, შეეძლო წინასწარვე დაენახა თავისი ნათქვამის შედეგი. ჩვენი პირველი საუბარი შედგა ოქტომბერში, მაშინ, მისი აზრით, ჯერ არ შეიძლებოდა ყველაფრის თქმა. სამაგიეროდ, მეორედ რომ შევხვდით თბილისში, აპრილის ბოლოს, სულ სხვანაირი იყო, უფრო გულღია.

და კიდევ ერთი საინტერესო ნიუანსი: ედუარდ შევარდნაძეს, აღმოჩნდა, რომ კარგი მსახიობივით სჭირდება აპლოდისმენტს გრძნობდეს სცენაზე. ისევე, როგორც რაიმონდ პაულსს. როცა ფილმს ვიღებდით, ვგრძნობდით, რომ მისთვის აუცილებელია პუბლიკასთან კონტაქტი, რადგან იგ ხომ მსახიობია!

— ეს დოკუმენტური მასალა გადაგვიშლის ადამიანის ცხოვრებას, მის ბედს პოლიტიკურ არენაზე. რა უფრო საინტერესო გეჩვენა, როცა საარქივო მასალას ათვალიერებდი?

— ბევრი რამ. მაგალითად, ორდენის გადაცემა. შევამჩნიეთ, რომ შევარდნაძე და გორბაჩოვი ყოველთვის გვერდიგვერდ ისხდნენ და შევარდნაძეს უფრო მაღლა ეკიდა ორდენი, ვიდრე გორბის... ძლივს დავძლიეთ ცდუნება, ფილმში გამოგვეკვლია, მათ შორის ნამდვილად რომელი უფრო ჭკვიანი და კეთილი იყო. ეს აზრი მხოლოდ იმიტომ მოვიშორეთ, რომ ფილმის მოცულობამ შეგვზღუდა.

— ფილმს რომ ვუყურებთ, ვგრძნობთ, რომ შენცა და შენი კოლეგებიც დიდი სიმპატიითა ხართ განწყობილნი მთავარი გმირის მიმართ. ფილმის გადაღების დროს მის მიმართ სულ არ გაგჩენიათ სხვა ემოციები?

— ვერ გადაიღებ ფილმს ისეთ გმირზე, რომელიც თავად არ მიგაჩნია სიმპატიურად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ შევარდნაძე კეთილი ადამიანია. იგი, რა თქმა უნდა, მამა აბრამის ბატკანი არ არის, მაგრამ პრინციპი, რომელსაც იგი ცხოვრებაში ეუფლება, აგრეთვე ბუნებისაგან ნაბოძები იერსახე — მისი ღიმილი, საუბრის მანერა — მისი მომხიბვლელობის ბეჭედია. თანაც სიმპატიები გაგვიჩნდა მისი ცხოვრების შესწავლის დროსაც. მაგრამ ის დამოკიდებულება, რასაც ფილმში გრძნობთ, უკვე სტუდიაში, სამონტაჟო მაგიდასთან გაჩნდა.

— და მაინც, როცა ისმენთ გამსახურდიას ტირადებს არამზადა შევარდნაძეზე და თანაც ნამდვილად არ იცით საქართველოს შინაარეულობის მიზეზი, რაც მას ღრღნის, შენ მაინც შევარდნაძის მხარეზე დარჩი?

— იყო შეგრძნება, თუმცა, როცა ამ მასალას ვამონტაჟებდით, დავრწმუნდი, რომ გამსახურდიას ინტერვიუებში ნათქვამი უსუსურია, თანაც მოქმედება საწინააღმდეგოს ადასტურებს.

— შენი აზრით, შევარდნაძეს პატივს სცემენ საქართველოში? ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა?

— საქართველოში მაშინ ვიყავი, როცა იგი ჯერაც არ დაბრუნებულიყო. პალტოებით გვეძინა ლოგინში არც გაზი იყო და არც შუქი, სწორედ მაშინ ვიგრძენით მისდამი დამოკიდებულება: თუ შევარდნაძე დაბრუნდებოდა, ბევრ კარგ საქმეს გააკეთებდა საქართველოს საკეთილდღეოდ. იქნება ვცდები, მაგრამ იქ ნანახითა და ნაგრძნობით მგონია, რომ ქართველებს ბელადი სჭირდებათ. თუ ასეთი არავინ არის, მაშინ ყველას აქვს ავტომატი და თავი ბატონი ჰგონია.

საქართველოში ჭკვიანი ხალხი ხვდებოდა, რომ თავი უნდა დაეღწიათ იზოლაციისათვის, რომ საჭიროა ლიდერი, რომელსაც იცნობდნენ. შევარდნაძის დაბრუნება მხოლოდ მისი სურვილი კი არ არის, არამედ აუცილებლობაც.

— მეტად საშინელია... ყოფილი კომპარტიის მდივანი, შინაგან საქმეთა მინისტრი...

— ვქილად დადგომას არ ვაპირებ, ამიტომაც ვიტყვი, რასაც ვგრძნობ. კი, შევარდნაძეს სხვადასხვა თანამდებობები ეკავა, ჰქონდა სხვადასხვა ორდენებიც, მაგრამ იგი ყოველთვის საქართველოს ჩასიკეთო საქმეს აკეთებდა. სასირცხვილო მას არაფერი სჭირს. მას არც მანქანა აქვს, არც დიდი საკუთრება, არც რაიმე კოლექცია. სამაგიეროდ თავისი წიგნების ჰონორარიდან 100 000 დოლარი შესწირა რუსთაველის დანგრეული გამზირის აღსადგენად.

დიახ, შევარდნაძეს დამშვიდებით შეეძლო ეცხოვრა კანარის კუნძულებზე ან მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც მას დიდი სიამოვნებით მიიღებდნენ. მისი ხიბლი თავისი ხალხის წინაშე სუფთაა, ამიტომაც არის იგი თავის საქართველოში.

— ერთხელ უკვე თქვა ერთმა ქართველმა: შევარდნაძე, უპირველეს ყოვლისა, ქართველიაო! განა ნამდვილი ქართველი შეიძლება იყოს კომუნისტი?! არასოდეს!

— ქართველებს ეს ტიტულები და სახელწოდებები არსებითად არ მიაჩნიათ, თავად აღიარებენ, რომ პოლიტიკას ორმაგი საფუძველი აქვს: ადრე არ ეწინააღმდეგებოდნენ პოლიტბიუროს გადაწყვეტილებებს, თუმცა თავისი ჭკუის მიხედვით მოქმედებდნენ, რათა საქართველო უკეთესი ყოფილიყო.

ახლა თუ ჩატარდება არჩევნები, შევარდნაძე ლიდერი გახდება, რადგან იგი საქართველოს წინაშე დგას! საქართველოში, სხვათა შორის, მას „თეთრ მელას“ უწოდებენ, იმ ცხოველის სახელს, რომელიც ძალიან გონიერიცაა და ეშმაკიც.

თუმცა ჩვენ, ფილმს რომ ვიღებდით, დავრწმუნდით, რომ იგი ნამდვილი შექსპირისეული გმირია. მისი ცხოვრება დიდებულად გამოადგებოდა პიესას, უფრო კი დრამას... ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ შევარდნაძის სიცოცხლე საფრთხეშია.



თუმცა იგი თავის სიცოცხლეს ანგარიშს არ უწევს, რაკი მეტად კომუნიკაბელურია, ხშირად გადაეშვება ხოლმე ყოველგვარ ამბებში...

— თავისი არსებით, ალბათ, ჰუმანისტიც არის?

— საკმაოდ დიდი! შეიძლება ის ნობელის პრემია დემოკრატიისათვის მან უფრო დაიმსახურა, ვიდრე გორბიმ. სხვათა შორის, შევარდნაძის, როგორც დემოკრატის, საწყისები ჯერ კიდევ ბავშვობაში ჩამოყალიბდა — პატარა სოფელში, სადაც გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ სოციალ-დემოკრატები, მენშევიკებიცა და სხვა მიმართულების მომხრეებიც. ამავე დროს კეთილგანწყობითა და შემწყნარებლურად უგებდნენ ერთმანეთს, უზიარებდნენ აზრებს. ალბათ, ჯერ კიდევ მაშინ ყალიბდებოდა შევარდნაძე პრინციპულ და ტოლერანტულ პოლიტიკოსად.

— ახლა როგორ აფასებ ლატვიას, შენს ერს, აქ მომხდარ ამბებს? შენს წარმოდგენაში რაიმე შეიცვალა?

— საქართველო და ლატვია თითქოს სულ სხვადასხვა ქვეყნებია, თუმცა ორივე ერთი დიდი სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო, და ეს პროცესები მეტად ჰგავდა ერთმანეთს, მაგრამ პასუხისმგებლობის რეაქცია — სხვადასხვაა. საქართველო, ეს აღმოსავლური ქვეყანა, მეტად რთულია, იქ კლანებისა და მაფიის სისტემა და სრულიად სხვაგვარი ურთიერთობაა, ვიდრე ბალტიაში. ის, რაც ჩვენ იქ დავინახეთ, გახლავთ ყინულის მთის თვალსაჩინო მხარე, ქვეშ კი სხვადასხვა ნაკადებია. შევარდნაძეს ამოძრავებდა ფიქრი, როგორ მიაღწიოს ერის შერიგებას. მან თითქმის ყველა პოლიტპატიმარი გაათავისუფლა, რადგან მიხვდა, რომ იმპერიაში ყველანი თითქოს სხვა განზომილებაში იყვნენ — დამნაშავენიც, წამებულნიც, არც კეთილი იყო და არც ბოროტი, რადგან ყველანი ერთ ხორცის საკეპ მანქანში იყვნენ გატარებულნი. ისინი, ვინც სახელმწიფო თავისი ხელებით დაანგრია, დამნაშავენი არიან, მაგრამ ისინი, ვისაც არაფერი გაუკეთებია, კრისტალურები არიან? თუმცა სწორედ ისინი აკვარახჭინებდნენ თავიანთ საქმეებს. პარადოქსია.

ჩვენთან ჯერ კიდევ არ ისვრიან, მაგრამ მოთმინება, რაც ქართველებში მცირეა, ჩვენც ძალიან გვჭირდება. ერთი მეორის მიმართ მიმტევებლობა ურთიერთგაგება, შეცდომების შეგნება გვჭირდება.

შევარდნაძე დიდ ყურადღებას აქცევს ინტელიგენციას.

სხვათა შორის, ქართველებს, თვით შევარდნაძეს მეფუძლეაც კი, უკვირთ, ბალტიელებმა რომ ადრე მიაღწიეთ დამოუკიდებლობას! რადგან ფიქრობდნენ, რომ სწორედ საქართველო იქნებოდა პირველი.

— დიახ, ვითარებათა დამთხვევა მართლაც ფანტასტიკური იყო.

— შევარდნაძემ ჯერ კიდევ ოქტომბერში გვითხრა, ნუ იქნებით გულუბრყვილონი, ნუ იფიქრებთ, რომ რადიკალებმა თავიანთი ყვირილით მიაღწიეს თქვენს დამოუკიდებლობას. ძეგლი, პირველ რიგში პუტჩისტებს უნდა დაუდგათ, რადგან მხოლოდ პუტჩმა გაგათავისუფლათ. დიდი რეპრესიების ის სახელმწიფო აპარატი თავისი უზარმაზარი გამოცდილებით, თქვენ არასოდეს გაგათავისუფლებდათო! მაშინ კი, როცა საპყრობილეში შერეკეს ყველა პუტჩისტი, შესაძლებლობა მოგვეცა ბრძოლით მოგვეპოვებინა სანატრელი დამოუკიდებლობა.

მართალი გითხრათ, როცა სასმელი შევსვით და ბალტიაზე ვბჭობდით, შევარდნაძე საუბარში მეტად აღარ შეგვყოლია, ის კი თქვა, რომ თავის აზრს მემუარებისათვის შემოინახავდა.

— როგორ ფიქრობ, შენი ფილმი ფართო აუდიტორიას შევარდნაძეზე წარმოდგენას შეუცვლის?

— უფრო ზუსტი იქნებოდა — წარმოდგენას კი არ შეუცვლის, არამედ მიაწვდის ინფორმაციას, რადგან დღემდე იგი, სამწუხაროდ, მითქმა-მოთქმისა თუ საგაზეთო ჭორების დონეზე იყო.

არ ვიცი, საქართველოში როგორ მიიღებენ ამ ფილმს, შევარდნაძემ მიგვიწვია იქ, როგორც კი დაბრუნდება გაგრიდან, ე.ი. ოქტომბრის დასაწყისისათვის. თანაც ეს დაემთხვევა მის წინასაარჩევნო კამპანიას, რადგან 11 ოქტომბერს არჩევნები ჩატარდება საქართველოში.

— ალბათ, სასიამოვნო არ იქნება ის კადრები, სადაც იგი ბრეჟნევს გულთბილად უძღვნის მადლობას ორდენისათვის... — „მე ორმაგად მსიამოვნებს სწორედ თქვენი ხელით, ლეონიდ ილიჩ, რომ ვიღებ მას!...“ ახლა ასეთმა მისალმებამ შეიძლება საშინელებათა თეატრი მოგაგონოთ და ნეგატიური რეაქცია გამოიწვიოს.

— მაგრამ, ეს ეპიზოდი რომ არ ყოფილიყო, მაშინ არც თვალშისაცემი სხვაობა იქნებოდა წარსულსა და დღევანდელობას შორის. კი, სამწუხაროდ, ეს ასე იყო და თანაც რა სიტყვა უთქვამს ზოგჯერ! დიდებული! ესეც გვაქვს გადაღებული.

ეს ყოველივე ხომ ბუნებრივია. ცხოვრებაში არაფერი ხდება უცებ და ერთბაშად. ედუარდ შევარდნაძემაც ერთ-ერთ გულახდილ საუბარში გვითხრა: ოდესღაც მჯეროდა სტალინისა, მერე ხრუშჩოვის, შემდეგ ბრეჟნევის, მაგრამ როცა გამოვერკვიე, ვინ რა იყო, მაშინ ჩემი გზა ავირჩიე. ასეთია ცხოვრების დიალექტიკა. და განა შევარდნაძის ცხოვრება ძალიან განსხვავდება სხვათა, თუნდაც ლატვიელ ადამიანთა ცხოვრებისაგან?

— სად ნახავენ შენს ახალ ფილმს?

— გადაღებაზე დაგვეხარჯა 2,2 მილიონი მანეთი — ეს საკმაოდ მცირე თანხაა. თუმცა მათ, ვინც ფული დადო, სურთ უკან დაიბრუნონ იგი. მაგრამ სად ვაჩვენოთ იგი? კარგი იქნებოდა, კინოთეატრში, მაგრამ ახლანდელი სიტუაცია რომ ვიცი და ისიც, ფილმი უშუალოდ რომ არ ეხება ლატვიას... რჩება შესაძლებლობა ტელევიზიით ჩვენებისა, თუმცა განა შეუძლია მას ფილმის შეძენა? ამასთანავე ვიდეომეკობრეების შიშიცა გვაქვს. ჩვენი „ჯვარედინი ქუჩა“ ვნახე, ამერიკაში 26 დოლარად იყიდებოდა კასეტა.

გაზეთი „ნეატკარიბა ცინია“.

# კოლექტივო, მხარი მხარს!

მიხეილ მახარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექვსი თანამშრომლის (შემდგომში „ექვსეული") კოლექტიურ წერილში „რატომაა იძულებული ბატონი მიხეილ მახარაძე სხვისი სათქმელი თქვას?" („საქართველო", 23—29 ოქტომბერი, 1992) მკითხველს ჩემს თავს წარუდგენენ როგორც ერთ ვინმე მეზღაპრეს, ვინც შემთხვევით და ყურმოკრულ ამბებზე აგებს თავის დასკვნებს და ამ გზით ავრცელებს დეზინფორმაციას თბილისის გაზეთებში.

ექვსეულის განსჯის საგანი გამხდარა ჩემი ინტერვიუ, უფრო სწორად ამ ინტერვიუს ის ნაწილი, სადაც გადმოცემულია ჩემი მოსაზრებები აჭარის ხელისუფლებაზე, აჭარაში მუსლიმანური რელიგიისა და ბათუმის უნივერსიტეტის პრობლემებზე („საქართველო", № 29, 1992). ექვსეული ჩემი მოსაზრებების გადმოცემისა და შეფასებისას არც სიცრუეს ერიდება და არც სინამდვილის დამახინჯებას.

წერილის ავტორები განსაკუთრებით გაულიზიანებია ერთ ადგილს ჩემი ინტერვიუდან, სადაც ვამბობდი: „ახლახან მითხრეს, რომ ბათუმის უნივერსიტეტში, ამა წლის მისაღებ გამოცდებზე საქართველოს ისტორიაში კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ამ საქმის არასპეციალისტი". ამასთან დაკავშირებით ექვსეული ერთ ამბავშია: სხვის ნათქვამს როგორ ენდე, რატომ არ შეამოწმე ეს ინფორმაცია და დეზინფორმაცია რად გაავრცელეო. ამასთან იმასაც მსაყვედურობენ, რატომ არ ამბობ, ვინაა ეს არასპეციალისტიო.

შემდეგ კი მოდის პანეგირიკი ამ პიროვნებისა, როგორც დიდი სპეციალისტისა. მას მკითხველს წარუდგენენ როგორც საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის წამყვან სპეციალისტს, ამ სფეროში 4 მონოგრაფიისა და ათობით სამეცნიერო ნაშრომების ავტორს, რომელიც ყოველდღიურად (?! — მ.მ.) იმაღლებს ცოდნას; ის ამავე დროს ბათუმის უნივერსიტეტის ერთ-ერთი კათედრის გამგეა და როგორც მაღალი დონის სპეციალისტობის დამადასტურებლად მოყავთ ერთი ასეთი გულუბრყვილო საბუთიც: 30 წლის წინ მას ლექციებს უკითხავდნენ ცნობილი ისტორიკოსები. დასახელებულია სამი პროფესორის გვარი, რომლებიც იმ დროს უკეთეს შემთხვევაში დამწყები ლექტორები თუ იქნებოდნენ. ამასთან, რახან მე არ ვასახელებ არასპეციალისტის გვარს, „ოპონენტებიც" მკაცრად იცავენ ამ „საიდუმლოებას".

ექვსეულის შენიშვნას მაშინ ექნებოდა ფასი, თუკი სინამდვილეში კომისიის თავმჯდომარედ ის არ აღმოჩნდებოდა, ვისაც ვგულისხმობდი და ეს „სხვისი ნათქვამი" საბოლოოდ გამტყუნდებოდა. არადა ყველაფერი პირიქითაა. უფრო ზუსტად, მე და ჩემი „ოპონენტები" ერთსა და იმავე პიროვნებაზე ვლაპარაკობთ. მაშინ რატომ არ ვასახელებთ მის გვარს?

ჯერ ერთი, მე მის გვარს იმის გამო არ ვასახელებდი, რომ, როცა ინტერვიუ მივეცი, მისაღები გამოცდები დაწყებული არ იყო და შეიძლება მომხდარიყო ცვლილება (რაც უცხო რომ არაა ამ პიროვნებასთან დაკავშირებით, ამას ქვემოთ ვნახავთ სათანადო წყაროს დამოწმებით) და მეორეც: ამ შემთხვევაში უფრო მავნე ტენდენციის მხილება იყო მთავარი და არა რომელიმე კონკრეტული პიროვნების გვარის დასახელება.

ახლა ვნახოთ რატომ არ ამჟღავნებს ამ „საიდუმლოებას" ექვსეული. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს ცნობილი „სპეციალისტი" და მასზე პანეგირიკის ერთ-ერთი შემთხზველი (თუ მხოლოდ ის არა!) ერთი და იგივე პიროვნებაა და ექვსეულთაგან პირველი აწერს ხელს ჩემს საწინააღმდეგოდ დაწერილ წერილს. ეს პიროვნება გახლავთ დოცენტი მურად ჩავლეიშვილი. ბუნებრივია, თუკი „ოპონენტები" გაამხელდნენ მის პიროვნებას, მაშინ მკითხველისათვის ცხადი გახდებოდა ვინ იცავს ვის (ჩავლეიშვილი — ჩავლეიშვილს!) და აქედან გამომდინარე წერილის მიზანიცა და ტენდენციურობაც გამჟღავნდებოდა.

ექვსეული, როგორც ვნახეთ, მსაყვედურობს, რატომ გაავრცელე ეს დეზინფორმაცია თუ არ იცოდიო? ჰაი-ჰაი რომ ვიცოდი და ცოტა მეტიც ვიცოდი, ვიდრე ეს მათ წარმოუდგენიათ. სწორედ ამის გამო ვიყავი გაკვირვებული მისაღებ გამოცდებზე ამ პიროვნების საქართველოს ისტორიაში კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნით.

„ოპონენტების" აღნიშვნით, მ. ჩავლეიშვილი მონოგრაფიების ავტორია საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში. აი ეს „მონოგრაფიებიც": „აჭარის პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების შექმნისათვის", ბათუმი, 1973 (რუსულად); „დიდი ოქტომბერი და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება აჭარაში", ბათუმი, 1977 (რუსულად); „ოქტომბრის რევოლუცია და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის აჭარაში (1917—1921)", ბათუმი, 1987 (რუსულად).

სათაურებიდანაც კარგად ჩანს, რომ ეს „მონოგრაფიები" საქართველოს ერთი რეგიონის ისტორიის გაყალბებისადმია მიძღვნილი, რომელთაც წითელ ზოლად გასდევთ ერთი საერთო და ყალბი იდეა: აჭარის მოსახლეობა მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ურყევად მიდის კაცობრიობის ნათელი მომავლისაკენ.

მ. ჩავლეიშვილის ეს წიგნები კომპილაციაა, სავსეა სხვადასხვა ავტორთა წიგნებიდან ამოღებული ციტატებით და ამონაწერებით პარტიული თუ არაპარტიული დოკუმენტებიდან. ეს არის ნამდვილი მაკულატურა, რომელთა მსგავსი ათეულობითა და ასეულობით იბეჭდებოდა ცოტა ხნის წინათ, ყოველგვარი შეფერხებისა და დაბრკოლების გარეშე. მათ ავტორთა მთავარ მიზანს კი შეადგენდა საქართველოს ახალი დამონების გამართლება. მოკლედ მ. ჩავლეიშვილის „მონოგრაფიებს" ისევე აქვს საერთო მეცნიერებასთან, როგორც ჩემი წერილების ციკლს აჭარაზე ბუდისტურ მოძღვრებასთან. ამასთან ეს წიგნები, როგორც უკვე ვნახეთ, ქართველი მკითხველისათვის არაა განკუთვნილი (კიდევ კარგი!), მხოლოდ რუსულ ენაზეა გამოქვეყნებული. ესეც შენი საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის „წამყვანი სპეციალისტი"!

ექვსეული ინკოგნიტო-სპეციალისტს, უკვე ცნობილ მ. ჩავლეიშვილს, მკითხველს აცნობს, როგორც ბათუმის უნივერსიტეტის არარსებული საქართველოს პოლიტიკური ისტორიის კათედრის გამგეს. ასეთი კათედრა რომ არ არსებობს, კარგად ჩანს მათივე წერილიდან, სადაც მ. ჩავლეიშვილისა და მისი კათედრის კიდევ ორი წევრის ხელმოწერების ქვევით გარკვევით წერია — პოლიტიკურ პარტიათა ისტორიისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა თეორიის კათედრა. როგორც ვხედავთ, აქ სიტყვა — საქართველო არსად არ ფიგურირებს. სინამდვილეში ეს არის მხოლოდ კანგამოცვლილი, არსებითად კი ადრინდელი სკკპ ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის კათედრა, რომლის გამგეც თავის დროზე გახლდათ იგივე მ. ჩავლეიშვილი. მკითხველი დაგვეთანხმება იმაში, როგორც ადრინდელ კათედრას, ისე მის დღევანდელ პირმშოს არაფერი აქვს საერთო საქართველოს ისტორიასთან. ამის მიუხედავად, ჩვენი „ოპონენტები" პატარა ბავშვებივით ცრუობენ და ამახინჯებენ ფაქტებს, რათა მ. ჩავლეიშვილი როგორმე საქართველოს ისტორიის სპეციალისტად წარმოაჩინონ.

„წამყვანი სპეციალისტის" ქებადიდებისას ჩვენი ავტორები გრძნობენ უხერხულობას და ერთ ადგილას ყალბი მოკრძალებით შენიშნავენ: „ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ყველა დროისა და პერიოდის ისტორია შეიძლება ერთნაირად იცოდეს ერთმა პიროვნებამ". ამ ერთ ადამიანში, კონკრეტულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მ. ჩავლეიშვილი იგულისხმება და ამას თავის თავზე წერს თუ ხელს აწერს თვითონ მ. ჩავლეიშვილი. ამას მე რატომ მახსენებენ? არა ჯობს ეს თვით მათ ფავორიტს შეახსენონ, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ დიდი „წარმატებით" ითავსებდა სსრკ ისტორიის სპეციალისტობასაც. მერე რა, რომ იგი მაშინაც ისეთივე სპეციალისტი იყო სსრკ ისტორიისა, როგორც დღეს საქართველოს ისტორიისა.

აი, რა წერია 1986 წლის 8 აგვისტოს „სახალხო განათლების" პირველ გვერდზე მოთავსებულ სტატიაში — „ვიბრძოლოთ სპეციალისტთა მომზადების მაღალი ხარისხისათვის": „ზოგჯერ არასპეციალისტიც ინიშნება საგნობრივი მისაღები გამოცდების თავმჯდომარედ, ასე მაგალითად, სსრ კავშირის ისტორიაში წლების მანძილზე კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის კურსდამთავრებული, რომელმაც სკკპ ისტორიაში სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა (დოც. მ. ჩავლეიშვილი). კიდევ მეტიც, იგი 1985 წელს სსრკ ისტორიაში საგნობრივი კომისიის თავმჯდომარედ არ იყო დამტკიცებული, მაგრამ დაუსწრებელი სწავლების გეოგრაფიის სპეციალობაზე კომისიის თავმჯდომარე აღმოჩნდა... სწორედ ეს ფაქტი გვქონდა მხედველობაში, როცა აღვნიშნავდით, რომ მ. ჩავლეიშვილთან დაკავშირებით გამოცდების პროცესში ვითარების ცვლა უცხო არ იყო მეთქი.

„სახალხო განათლების" ამ პუბლიკაციის ავტორი კი აღნიშნულ საკითხებში ფრიად კომპეტენტური პიროვნებაა, იმ დროს ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის უფროსი, საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი ვლადიმერ მოქერია. ასე რომ, მ. ჩავლეიშვილის არასპეციალისტობა პირველად მე არ შემინიშნავს და ამაში ტყუილად მედავებიან მ. ჩავლეიშვილი და მისი მხარდამჭერი კოლექტიური წერილის თანაავტორები.

„ოპონენტები" განსაკუთრებული ირონიითა და ცინიზმით ლაპარაკობენ აჭარის ხელისუფლებასთან ჩემს დამოკიდებულებაზე. მოკლედ მეუბნებიან — ვინა ხარ ისეთი, შენთან აჭარის ხელისუფლებამ დიალოგი რომ გამართოსო; რამდენი შენისთანა გამოჩნდება, მასთან ალიანსში რომ შევიდეს აჭარის ხელისუფლებაო, კითხულობენ გაკვირვებულები.

ჯერ ერთი: ჩემს ინტერვიუში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ პოზიციების დაახლოებაში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას ინტელიგენციამ (და არა მე, როგორც ამას წერენ „ოპონენტები", რითაც შეცდომაში შეჰყავთ მკითხველი).

მეორე: ვინა ვარ მე? ვინა და, უცხოპლანეტელი! თუ მეხსიერება ღალატობთ ჩემს „ოპონენტებს", იძულებული ვარ შევახსენო მათ, რომ აჭარასთან დაკავშირებით ჩემი დაყენება ნებისმიერი თანამშრომლის გვერდით მთლად გამართლებული არ იქნება და აი, რატომ:

როდესაც 1985 წელს რესპუბლიკისა და აჭარის ადგილობრივ პრესაში ზღვარგადასული კამპანია დაიწყო აჭარის მორწმუნე მუსლიმანების წინააღმდეგ, მაშინ სხვებივით სოროში კი არ შევმძვრალვარ, შევადგინე მიმართვა საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივნის, წამყვანი და ადგილობრივი გაზეთების რედაქტორებისა და სხვადასხვა შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელობისადმი. მიმართვაზე ჩვენი კუთხის მხოლოდ ექვსმა წარმომადგენელმა მომიწერა ხელი. მივაღწიეთ იმას, რომ მოვხვდით ცკ-ის სათანადო ინსტანციაში და ამ გზით შევაჩერეთ ეს უზნეო კამპანია; ასევე ჩავუდექი თბილისში ჩვენი კუთხის ინტელიგენციას სათავეში და 1988 წლის დეკემბრისთვის ბათუმის გახმაურებული ამბავის საქმის კურსში ჩავაყენეთ დედაქალაქის მოსახლეობა, როცა თბილისიდან ინსპირირებული დარბევა მისი სავალალო შედეგებით აჭარის მოსახლეობას ბრალდებოდა.

მხოლოდ მე ერთმა ავიმაღლე ხმა საჯაროდ, როცა მაღალი ტრიბუნიდან ითქვა ყბადაღებული „აჭარული სეპარატიზმის" შესახებ და ვაჩვენე მისი უსაფუძვლობა;

ასევე, მხოლოდ მე გავილაშქრე საჯაროდ, როცა 1991 წლის იანვარში საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ყოვლად უსაფუძვლოდ, წინასწარი განზრახვით მიწასთან გაასწორა აჭარის უზენაესი საბჭო საარჩევნო კანონთან დაკავშირებით. ასე რომ, როცა ჩემს კუთხეს თანადგომა სჭირდებოდა, მაშინ სხვებივით კულისებში არ მივმალულვარ და იქ არ დავლოდებივარ მოვლენათა შემდგომ მსვლელობას.

გარდა ამისა, ბოლო 10 წლის განმავლობაში თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, რომ არ გამოვხმაურებოდი აჭარასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ თემაზე მიძღვნილი მაქვს 50-მდე სტატია თუ წერილი, რომლებიც მოიცავენ პოლიტიკის, რელიგიისა და კულტურის საკითხებს. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებული სხვათა პუბლიკაციები (მხედველობაში მაქვს მეცნიერულ-პუბლიცისტური სტატიები და წერილები, და არა ინფორმაციული და სხვა ხასიათის ნარკვევები) ერთად აღებული ბევრად ჩამორჩებიან რაოდენობით ჩემს პუბლიკაციებს.

ახლა მკითხველმა განსაჯოს, რის უფლება მაქვს და რის — არა, როცა საუბარი აჭარას შეეხება და ამასთან ბოდიშიც უნდა მოვუხადო მას იმის გამო, რომ იძულებული გავხდი მე თვითონ მელაპარაკა საკუთარ თავზე.

მესამე: ის, რაც ვერ წარმოუდგენიათ „ოპონენტებს" აჭარის ხელისუფლებასთან ჩემი დიალოგის თაობაზე, ასე სულაც არ მიაჩნია საკუთრივ აჭარის ხელისუფლებას. აქ ერთ პატარა საიდუმლოებასაც გავუმხელ „ოპონენტებს". სანამ ჩემი ინტერვიუ გამოქვეყნდებოდა, მანამ უკვე მქონდა, მართალია ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო შეხვედრა აჭარის ხელისუფლების საკმაოდ დიდი თანამდებობის პირებთან... მათივე ინიციატივით. ასევე მათივე ინიციატივით უნდა შემდგარიყო ამგვარი შეხვედრა უმაღლეს დონეზე და ეს რომ არ მოხდა, საკითხის მეორე მხარეა. ასე რომ, ამ შემთხვევაში ექვსეული აჭარის ხელისუფლების არამკითხე დამცველის როლში მოგვევლინა.

ექვსეულის მსჯელობანი ისლამის საკითხებში ჰორიკანა დედაკაცის დონეს ვერ სცილდება. სხვადასხვა პუბლიკაციებში აღნიშნული მაქვს, რომ საჭიროა შეიქმნას კონცეფცია მაჰმადიანი ქართველების შესახებ, რომ ერისა და კუთხის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, ისლამის გააქტიურება აჭარაში მართვადი უნდა გახდეს. აქ პრობლემის სიღრმეს უნდა ჩავწვდეთ და არა ასე გულუბრყვილოდ ვიმსჯელოთ: „ნუ გავალიზიანებთ ხალხს, რომელთა შორის დღეს ვერ ნახავთ ვერც ერთ აჭარელს, რომელსაც თავი ქართველად არ მიაჩნდეს"; „ხომ გაგიგონიათ: კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ ილოცეო". აი, ამგვარი და კიდევ ბევრი სხვა „მარგალიტების" (მათ წერილში რომ ასე უხვადაა) ავტორებს უნივერსიტეტის პედაგოგები ჰქვიათ.

საფუძველს მოკლებულია „ოპონენტების" აზრი იმის თაობაზე, რომ მე თითქოსდა ბათუმის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ვსაყვედურობდე, რატომ არ ღებულობთ ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის მიერ თბილისში თავის დროზე მიზნობრივ ასპირანტურაში წარგზავნილებს მეთქი. „ოპონენტები" თავიანთ მოგონილს ასეთი „დახვეწილი" რიტორიკით ამთავრებენ: „ამდენი ეთნოგრაფები და არქეოლოგები მას (ე.ი. ბათუმის უნივერსიტეტს — მ.მ.) არ სჭირდება". არადა, მე მხედველობაში მყავდა სწორედ ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (რომლის მემკვიდრეცაა დღევანდელი უნივერსიტეტი) წარგზავნილი ასპირანტები გეოგრაფიისა და რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

წერილის ავტორები ორჯერ რალაც საეჭვოდ შენიშნავენ, რომ მე ამავე დროს კათედრის გამგე ვარ ბათუმში, ფასიან ინსტიტუტში. იქნებ მათ იმის თქმა უნდათ, რომ ზურგი ვაქციე ბათუმის უნივერსიტეტს და ფულის გამო ფასიან უნივერსიტეტს მივაშურე. ეს კი სიმართლეს არ შეესაბამება. გასული წლის დეკემბერში ბათუმის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას იქით შევთავაზე ჩემი სამსახური ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. გარკვეული შეთანხმების მიუხედავად, ამ საქმიდან ჯერჯერობით რეალური არაფერი გამოსულა.

იქნებ ის მეთვლება ცოდვად, რომ გონიოს კოოპერაციულ ინსტიტუტში ფილოსოფიისა და რელიგიათმცოდნეობის კათედრა ჩამოვაყალიბე, იქ ნახევარ განაკვეთზე ლექციების წასაკითხად მივიწვიე თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი წამყვარი პროფესორი და ამასთან ოთხი ადგილობრივი კადრი მუდმივ თანამშრომლებად ავიყვანე კათედრაზე. ამ ოთხიდან სამი უკვე მაძიებლად გაფორმდა და დაუმტკიცდათ სადისერტაციო თემები ფილოსოფიის ინსტიტუტში, ხოლო ორი მათგანის პირველი სამეცნიერო სტატიები მალე გამოქვეყნდება „მაცნეს" მე-4 ნომერში.

ან იქნებ ის ჩამეთვალოს ცოდვად, რომ ამ გაჭირვებულ დროს, როცა ნებისმიერი მგზავრობა დიდ რისკთან და წვალებასთანაა დაკავშირებული, მაინც ჩამოვდივარ ბათუმში და ლექციებს ვუკითხავ ჩემი მხარის შვილებს.

იქნებ მკრეხელობაა ჩემი მხრიდან, რომ სწორედ გონიოს კოოპერაციული ინსტიტუტის გამო უარი ვთქვი კათედრის გამგეობაზე თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ ფასიან ინსტიტუტში, სადაც ცნობილი მეცნიერები თანამშრომლობენ და სადაც 1,5-ჯერ მეტ ანაზღაურებასაც მთავაზობდნენ, ვიდრე ბათუმში.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ბათუმის უნივერსიტეტზეც. „ოპონენტების" აღნიშვნით მე მოვიცალე და ჭკუას ვასწავლი ბათუმის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას. არაფერი ამის მსგავსი. ბათუმის უნივერსიტეტის გახსნის ფაქტი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა და ასეთი იმედით ვამთავრებ მასზე საუბარს ინტერვიუში: „... ბათუმის უნივერსიტეტი უნდა გადაიქცეს აჭარის ყოველმხრივ ცენტრად ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით".

სხვა პუბლიკაციებში უფრო მკაცრად მაქვს გამოთქმული ჩემი მოსაზრებები ბათუმის უნივერსიტეტზე, რადგანაც იგი მთელი ქართველი ხალხის კუთვნილებაა (ეს ბევრ იქ მომუშავეს ჯერ კიდევ ვერ გაუგია და უფრო საკუთარ ბაღჩად წარმოუდგენია იგი) და მას უდიდესი მისია ეკისრება მომავალში. ეჭვიც არაა, ადრე თუ გვიან ის ამ როლს შეასრულებს კიდეც.

ბათუმის უნივერსიტეტის ბევრ თანამშრომელს ვიცნობ, რომელიც თავისი ცოდნითა და პასუხისმგებლობით საქართველოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელს დაამშვენებდა. ამასთან მას აქვს მძიმე მემკვიდრეობაც, რასაც ადასტურებს ექვსეულის წერილის მიზანი, პათოსი და დონე.

დასასრულს ხელის მომწერებზე. ხელმომწერთაგან მე-2 მ. ჩავლეიშვილის სიძეა, მე-4 და მე-6 მისი კათედრის წევრებია. ხელმომწერთაგან მე-5 დარწმუნებული ბრძანდებოდეს იმაში, რომ კარგად ვიცი, რა საერთო წარსული აკავშირებს მას მ. ჩავლეიშვილთან. ცოტა გაურკვეველია ჩემთვის, თუ საიდან მოხვდა ამ კოლექტივში მე-3 ხელმომწერი. იგი, როგორც ზუსტი მეცნიერების წარმომადგენელი, ხელმომწერთა სპექტრის გამრავალფეროვნებისათვის ხომ არ ჩართეს საქმეში? ან იქნებ განსაკუთრებული კომპეტენცია აქვს საქართველოს ისტორიასა და ისლამის საკითხებში?

მოკლედ, შეიკრა კოლექტივი, მხარი მხარს მისცეს — წინ, შუაში და ბოლოში დააყენეს ძველი და ნაცადი კომუნისტები და დაწერეს „ქვას რომ გახეთქავდა", ისეთი წერილი. წერილი, სადაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ავტორების მიერ სათაურად გამოტანილ შეკითხვაზე პასუხიც კია დავიწყებული.

28.10.92.

# ვახტანგ რაზმაძე:

# ...პასუხს აგებენ ქართველი ერის წინაშე ჩადენილი ბოროტებისათვის!

(საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორისა და გაზეთ „საქართველოს" რედაქტორის საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერი)

— ბატონო ვახტანგ, გაზეთ „საქართველოს" მკითხველებს შევპირდით, რომ თქვენთან გვექნებოდა ინტერვიუ და მთელ რიგ საკითხებზე რესპუბლიკის პროკურორი გამოთქვამდა თავის აზრს. ჩვენი მკითხველი ამ ინტერვიუს ელოდება. დღემდე ჩვენი შეხვედრა ვერ მოხერხდა თქვენი მოუცლელობის გამო. ამას აბსოლუტური გაგებით ვხვდებით. დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ დღეს დაგვითმეთ დრო. მინდა შევეხოთ იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რაც საქართველოს მოსახლეობას, მთელ ქართველ ერს აინტერესებს.

უპირველეს ყოვლისა, დღის წესრიგში დგას „ცხელი წერტილების" პრობლემა, კერძოდ, აფხაზეთის პრობლემა. სწორედ აფხაზეთის საკითხით მინდა დავიწყოთ.

— ბატონო ნოდარ, თქვენ მოგეხსენებათ, რომ აფხაზეთის პროცესებში და იმ პრობლემებში, რაც წარმოშობილია ქართველ-აფხაზთა ურთიერთობაში, მე გარკვეულად გათვითცნობიერებული ვარ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1989 წლის 16 ივლისს სოხუმში დატრიალდა ტრაგედია. ჩვენ მაშინ მრავალ საქმეზე ჩავატარეთ გამოძიება და ვიძიებდით იმ ფაქტებსაც, თუ რატომ მოხდა დაძაბულობის ესკალაცია ქართველ და აფხაზ ხალხს შორის. ამას მაშინ თავისი მიზეზი მიეცა და გარდა იმისა, რომ აფხაზეთში იმ დროისათვის დაწყებული და მომძლავრებული იყო სეპარატისტული მოძრაობა და ამ გამოვლენებს ჩვენ ვხსნიდით, და სრულიად სამართლიანად, იმითაც რომ საქართველოს ხელმძღვანელობა აფხაზეთთან ურთიერთობაში ყოველთვის გარკვეულ შეცდომებს უშვებდა, რაც გამოიხატებოდა ზედმეტი პრივილეგიების მინიჭებაში, იმაზე მეტის, რასაც იმსახურებდა ავტონომიური რესპუბლიკა. ყოველივე ამან გარკვეულად იმოქმედა აფხაზეთში მცხოვრებ ქართველ ხალხის თავმოყვარეობაზე. უფრო სწორად, მათ გარკვეულად იგრძნეს, რომ დათრგუნულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, აფხაზებს მათზე მეტი პრივილეგიები ჰქონდათ, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის მცხოვრებთ. ამან გამოიწვია ის, რომ ბევრი ქართველი აფხაზად იწერებოდა, იყო შემთხვევები, რომ ადამიანი სამსახურში დაწინაურებისთვის იძულებული ხდებოდა თავისი ეროვნულობა უარეყო აფხაზობის სასარგებლოდ. ესენი, რა თქმა უნდა, არაკაცები, სულმდაბალი ადამიანები არიან, მაგრამ ყოველთვის არაკაცი და სულმდაბალი ადამიანებისაგან უნდა მოელოდე ღალატს. ასეთი ღალატი თვით ქართველებისაგან მოდიოდა. ისინი აქტიურად არ იღწვოდნენ იმისთვის, რომ აფხაზეთში მცხოვრები ქართველი ხალხის ინტერესები არ შელახულიყო. ეს საქმის გამოძიების მიმდინარეობის ყველა ეტაპზე იგრძნობოდა. არავის არ სურდა ყოფილიყო მოწმე, ემხილებინა ესა თუ ის სეპარატისტი აფხაზი. ხელმძღვანელობის მიმართ ხომ ყველას პირში წყალი ჰქონდა ჩაგუბებული. ამიტომ, მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა, რაც ამგვარმა ქართველებმა შეგვიქმნეს აფხაზეთში, ჩვენ მაინც მივაღწიეთ დამნაშავე პირთა დადგენას, ვინც ქართველ და აფხაზ ხალხს შორის ჩამოაგდო ასეთი არანორმალური ვითარება, მაგრამ იმ დროს შექმნილი პოლიტიკური სიტუაციისა და საქართველოს ხელისუფლების უპრინციპობის გამო არ მოხერხდა დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემა. მე მახსოვს, თქვენ მაშინ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოაქვეყნეთ წერილი, სადაც მოცემული იყო იმ პირთა სია, რომელნიც დანაშაულს სჩადიოდნენ.

ეს პროცესი არ შენელებულა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ნათელი იყო, მაინც ნახევრადგატარებულმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო გაათამამა აფხაზი სეპარატისტები და საბოლოოდ მივედით 1992 წლამდე, როცა აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა საქართველოს რესპუბლიკისაგან.

**— თქვენ სწორად ბრძანეთ, რომ პირველი მასიური გამოსვლა აფხაზი სეპარატისტებისა ქართველთა წინააღმდეგ დაიწყო 1989 წელს. იმ პერიოდში, თუ გახსოვთ, აფხაზეთში თქვენ არაობიექტურობაში დაგდეს ბრალი და სსრკ-ს პროკურორთან გიჩივლეს, თითქოს თქვენ აფხაზების დისკრიმინაცია გსურდათ. მათ საჩივარს ხომ არ მოჰყოლია რაიმე?**

— მათ საჩივარს მოჰყვა ის, რომ ამის შემდეგ საბჭოთა კავშირის პროკურატურა უხეშად ერეოდა იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომელზედაც ჩვენ ვმუშაობდით (იგულისხმება აფხაზეთთან დაკავშირებული საქმეები). ცდილობდნენ ყველა საკითხი მსჯელობის საგნად ექციათ სსრკ პროკურატურაში. იქ იყო ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, წარმოშობით მგონი ბერძენი, რომელმაც მეურნეობაში მილიონობით მანეთის დატაცება მოახერხა და ამ ნაპარავ თანხებს აძლევდა აფხაზებს შეიარაღებისათვის. ამ საქმის გამოძიებაშიც უხეშად გვერეოდნენ, ყოველნაირად ცდილობდნენ ეს კაცი ჩვენ პატიმრობიდან გაგვეთავისუფლებინა, რასაც საბოლოოდ მიაღწიეს. როდესაც აფხაზეთში რეფერენდუმი ჩატარდა შესახებ იმისა, გამოყოფოდა თუ არა აფხაზეთი, ეს ძირძველი ქართული კუთხე, საქართველოს და რუსეთს შეერთებოდა, ჩადენილ იქნა აფხაზ სეპარატისტთა მიერ მთელი რიგი სიყალბეები. ფაქტიურად არავითარი რეფერენდუმი არ მოწყობილა. მასში მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებმა მიიღო მონაწილეობა. დავადგინეთ ეს ფაქტი, მაგრამ აფხაზეთის ხელმძღვანელობამ დაუყოვნებლივ გადამალა რეფერენდუმის მასალები, ჩააბარა ისინი სსრკ უზენაეს საბჭოს და იქ ლუკიანოვის ხელმოწერით სპეციალური დადგენილება იქნა მიღებული. ასე რომ, ეს ჩიტირეკია ხელმძღვანელები გამოყოფას აპირებდნენ საქართველოდან, საქართველოს კი რეფერენდუმის ჩატარების დოკუმენტაციას უმალავენ.

**— რას იტყვის გენერალური პროკურორი, სამართლიანად მიგაჩნიათ თუ არა ქართული ჯარის აფხაზეთში შეყვანა? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ პირველივე მარცხის შემდეგ იმაზეც წამოიწყეს საუბარი, რომ ეს ნაბიჯი ხელისუფალთა მხრიდან შეცდომა იყო.**

— მე მიმაჩნია, ეს ღონისძიება საქართველოს ხელისუფლებას გაცილებით ადრე უნდა ჩაეტარებინა. საქართველოს ერთიანობის დაცვა ყოველი ჩვენთაგანის წმინდათაწმინდა მოვალეობაა. გარდა ამისა საქართველოს და მეზობელი სომხეთის რესპუბლიკამ იმდენი ზარალი განიცადა აფხაზეთის მხარეში ტრანსპორტის ძარცვით, რომ მისი ანაზღაურება დღეს საქართველოსთვის შეუძლებელია. ამიტომ, როცა მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რკინიგზის დაცვის მიზნით გარკვეული ნაწილების დისლოცირება მომხდარიყო ლესელიძესა და განთიადში, რომელნიც გააცილებდნენ მატარებლებს საქართველო-რუსეთის საზღვრიდან საქართველო-სასომხეთის საზღვრამდე, ეს გარემოებით ნაკარნახევი აუცილებელი ღონისძიება იყო. მე ვთვლი, რომ არათუ სწორად მოიქცა საქართველოს ხელისუფლება, არამედ სხვაგვარი ქმედება თითქმის გამორიცხული იყო. თავად გახლავართ იმის მომსწრე, რომ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ეს საკითხი შეათანხმა არძინბასთან და იმაზედაც კი მოილაპარაკეს, რომ წესრიგის დაცვის მიზნით ერთობლივად ემოქმედათ. როგორც ყოველთვის, არძინბამ აქაც ნაძირალობა გამოიჩინა, სიტყვა გატეხა და სრულიად მშვიდობიანად მიმავალ ჩვენს ნაწილებს აფხაზი მკვლელები მიუსია. ასე გააჩაღა მან ომი.

**— რაკი არძინბა ახსენეთ, მინდა ერთი შეკითხვაც დაგისვათ: იგი დღემდე საქართველოს მოქალაქედ ითვლებოდა, მაგრამ თავის ბანდასთან ერთად დაუპირისპირდა საქართველოს ინტერესებს, ჩამოაგდო შუღლი ხალხთა შორის, სამართალდამცავი ორგანოები ვალდებულნი არიან თუ არა, პირადად თქვენ ფიქრობთ თუ არა, რომ მათ წინააღმდეგ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და შესაძლო შემთხვევაში მიაბრძანონ სადაც ჯერ არს?**

— არძინბა საქართველოსა და აფხაზეთის მოქალაქე არც ყოფილა და არც იქნება. არძინბა არის კაცი, რომელმაც თავისი ბინძური სული მიყიდა რუსეთის იმპერიას, დღესაც ის ჩაწერილია ქ. მოსკოვში და ითვლება იქაურ მოქალაქედ. რაც შეეხება მის პიროვნებას, თავად კი თვლის, რომ აფხაზეთის განმათავისუფლებლადაა მოვლენილი, მაგრამ თვითონვე უწყის ყველაზე უკეთ, რომ თვით აფხაზი ხალხის ინტერესები 30 ვერცხლად მიჰყიდა რუსეთის იმპერიას. რა თქმა უნდა, ის მიცემულ იქნება პასუხისგებაში. საქმეც აღძრულია. მიმდინარეობს გამოძიება იმ დანაშაულობების შესახებ, რაც ჩადენილია მის მიერ და რასაც საომარი მოქმედება მოჰყვა.

**— ხომ არ დარჩება ეს მშრალ განცხადებად?**

— ვიდრე პირში სული მიდგას, არძინბა თავს მშვიდად ვერ იგრძნობს. ადრე თუ გვიან (ალბათ ეს უფრო ადრე მოხდება, ვიდრე გვიან), ეს ქართველი და აფხაზი ხალხის მტერი გაითოკება...

ზოგადად კი მინდა ვთქვა: სამხედრო შეტაკება, რომელსაც სახელად ქართველ-აფხაზთა ომი ჰქვია, სინამდვილეში არის რუსთა, აფხაზთა და ჩრდილოეთ კავკასიელთა ომი საქართველოს წინააღმდეგ. ეს ომი მიმდინარეობს ისეთი სიმწვავით და ისეთ ვითარებაში, რომლის მსგავსი, ბატონო ნოდარ, არც გამიგონია და არც წამიკითხავს. ფაშისტებს არ ჩაუდენიათ ის სისასტიკე, რასაც იჩენენ აფხაზები და მათი მომხრეები ქართველთა მიმართ.

**— გაგრასთან დაკავშირებით რას იტყვით?**

— ჩვენ ცალკე აღვძარით სისხლის სამართლის საქმე და ვაწარმოებთ გამოძიებას იმის შესახებ, რაც მოხდა გაგრაში. თუ რამ გამოიწვია ის სასტიკი და სამარცხვინო მარცხი, რაც ქართველებმა განვიცადეთ, ერთი და ორი სიტყვით ამის ახსნა შეუძლებელია, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ითქვას — გაგრის დასაცავად ჩვენს მიერ ჩაყვანილ იქნა მრავალი მდაბალი სულის ადამიანი, რომელთაც ელემენტარულადაც ვერ გამოავლინეს თავისი სამშობლოს სიყვარული და თავდადება მის დასაცავად. გაგრა, შეიძლება ითქვას, უბრძოლველად ჩაბარდა მტერს. ღალატი იყო ეს თუ დეზორგანიზებულობა, ამას გამოძიება საბოლოოდ დაადგენს, მაგრამ მე წინასწარ შემიძლია ვთქვა, რომ იყო ერთიც და მეორეც.

**— იძიებთ ამ ფაქტებს?**

— დიახ, ჩვენ ვიძიებთ და ამის საშუალება გვაქვს. ის, რაც შეიძლება დადგინდეს ლტოლვილთა მეშვეობით, ყველაფერი დადგენილია. დაახლოებით 700-ზე მეტი სვეგამწარებული გაგრელი ლტოლვილი გვყავს დაკითხული, რომლებიც ჰყვებიან იმ უზნეობის, სისასტიკის, არაკაცობის, იმ არაადამიანურობის შესახებ, რაც ხდებოდა გაგრაში. ჰყვებიან იმასაც, რომ დამცველები არ აღმოაჩნდათ. იმასაც ლაპარაკობენ, რომ ისინი არ გააფრთხილეს, როდესაც ქალაქს სტოვებდნენ. იმის მაგივრად, რომ მოსახლეობა გამოეყვანათ და წინ გაეშვათ, პირველები მებრძოლები გარბოდნენ, უკან კი მოსახლეობა მისდევდათ, მათ ეწეოდა და ანადგურებდა მტერი.

**— როცა საქმე ფუჭდება, ბატონო ვახტანგ, ხშირად განტევების ვაცს ეძებენ ხოლმე. აი, ამ ბოლო ხანებში ხშირად ისმის მარინაშვილის გვარი. ხომ არ იტყოდით მის შესახებ რაიმეს?**

— ამ კაცზე გაორებული წარმოდგენაა. არიან ადამიანები, რომლებიც უქებენ ნიჭს, კაცობას, თავდადებას, სამშობლოს სიყვარულს. მაგალითად, გია ყარყარაშვილმა დღევანდელ ინტერვიუში, რომელიც ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, მარინაშვი-



ლი დადებითად დახასიათა. ბატონ გიას აზრს მე დიდ პატივს ვცემ. არიან ადამიანები, რომელნიც საწინააღმდეგო ჩვენებებს იძლევიან, თითქოს ის ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა და ვერ გამოავლინა ის თვისებები, რაც საჭიროა ომის დროს.

**— მისი მხრიდან შეგნებულ ღალატს შეიძლება ჰქონდეს ადგილი?**

— ამის რაიმე მტკიცება ჩვენ არა გვაქვს. და თუ მტკიცება არ მოვიპოვეთ, ისე ადამიანისათვის სამშობლოს ღალატის დაწამება დიდი ცოდვაა. სხვათა შორის, პრესის მუშაკებსაც მინდა ვურჩიო, ვიდრე ზუსტად არ ეცოდინებათ ამა თუ იმ პირის კონკრეტული ქმედების შესახებ, მისი გვარის ასეთ მძიმე კონტექსტში გახმიანება, რბილად რომ ვთქვათ, დანაშაულია. ხომ გაგიგონიათ: გამკეთებელმა ერთი სცოდა, დამბრალებელმა — ათასიო...

**— ბატონო ვახტანგ, ერთი წუთით რომ წარმოვიდგინოთ, საქართველო დამშვიდებულია, თავისუფალი და ძლიერია, თქვენ, როგორც პიროვნებას, შეგეძლებათ იცხოვროთ ისეთ საქართველოში, სადაც კულუმბეგოვი დაუსჯელად ივლის?**

— მესმის თქვენი შეკითხვის ქვეტექსტი. კულუმბეგოვის გაშვების წინააღმდეგი ვიყავი. კულუმბეგოვს, ჩოჩიევს, არძინბას და სხვებს, ჩვენი სამშობლოს წინაშე ისეთი მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი, რომ არ არსებობს არავითარი ამნისტია და მანიფესტი, რომელსაც შეუძლია ამ დანაშაულთა გაქარწყლება; ამიტომ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მოვა დრო და ისინი წარსდგებიან სასამართლოს წინაშე და პასუხს აგებენ ქართველი ერის მიმართ ჩადენილი ბოროტებისათვის.

**— დღეს საომარი ვითარება არამარტო არაქართველებთან გვაქვს, არამედ ზურგში ლახვარს გვირტყამენ ის ადამიანები, რომელნიც რევანშისტული სულისკვეთებით არიან ანთებულნი.**

— მე გულახდილად მინდა გითხრათ, მარტო ის ადამიანები კი არ არიან ჩვენი მტრები, რომელნიც იარაღით იბრძვიან ყოფილი პრეზიდენტის მოსაბრუნებლად, არამედ ისინიც, ვინც სიტყვით ჩვენს მხარეზე არიან, თითქოს ჩვენი გამარჯვება უნდათ, თითქოს დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებისათვის იბრძვიან, ფაქტობრივად კი უხეშად არღვევენ კანონს, არ ემორჩილებიან დადგენილ წესს. აი, ეს ხალხი გაცილებით დიდ ზიანს აყენებს ჩვენს ხელისუფლებას, რადგან ერთია კანონის უგულებელყოფა ტყეში გასული კაცის მიერ და მეორე და უფრო უარესი გახლავთ, იგივეს ჩადენა იმ ადამიანთა მიერ, ვინც თავად უნდა დარაჯობდეს კანონს. იქნებ ბევრს არ მოეწონოს ეს სიტყვები, მაგრამ ადამიანები, რომლებიც ეგრეთ წოდებულ „ზვიადისტებს“ ებრძვიან, ზოგჯერ ისეთ საშინელებებს სჩადიან, რომ გაცილებით მეტ მტრებს გვიჩენენ, ვიდრე შეეძლო ეს გაეკეთებინა მოწინააღმდეგე მხარეს. რაც შეეხება გამსახურდიას შეიარაღებულ ბანდებს, მათ აქვთ საუკეთესო საშუალება გადაირჩინონ საკუთარი თავი, ღირსება, გვარიშვილობა, თუ საქართველოს მომხდურებთან დახარჯავენ აწი მაინც იმ ტყვია-წამალს, რომელიც ძმათა მოკვდინებისთვის აქვთ გადანახული.

თუ ამ შემთხვევას ისინი არ გამოიყენებენ, სამართალდამცავ ორგანოებს რომ თავი დავანებოთ, ბოლოს და ბოლოს შთამომავლობის წინაშე გახდებიან დასაწყევარი.

დიდი სურვილი მაქვს კვლავ ვცადოთ ყველა საშუალება იმისათვის, რომ ეს ადამიანები ჩადგნენ ქართველი ერის სამსახურში. ხოლო ისინი, ვინც ვითომცდა ხელისუფლების მხარეზეა, მაგრამ კანონებს არღვევენ, ადამიანების მიმართ იჩენენ სისასტიკეს, კლავენ, ასახიჩრებენ, ძარცვავენ და ცხოვრების ნორმალურ საშუალებას არ აძლევენ, ვიმეორებ, მიმაჩნია ათასჯერ უფრო საშიშ ხალხად.

ჩვენ ვერ მივაღწევთ საქართველოში წესრიგის დამყარებას, თუ ვერ შევძელით მოსახლეობის ხელში არსებული უკანონო იარაღის ამოღება და ვერ აღმოვფხვერით დამნაშავეთა კერები. თუ ეს საკითხები არ გადაიჭრა, საქართველოს ახალი პარლამენტი და ხელისუფლება ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოიპოვებს მოსახლეობის ნდობასა და პატივისცემას. საჭიროა ახალმა პარლამენტმა ამ მხრივ რადიკალური ღონისძიებები გაატაროს. პირები, რომელნიც ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ, იარაღით ხელში დადიან ქუჩებში, უნდა აილაგმონ. ამ პროგრამა მინიმუმის განხორციელების გარეშე ვერცერთ სფეროში ვერ მივაღწევთ წარმატებებს.

**— ახალი პარლამენტის, ახალი მთავრობისადმი, ხალხს მართლაც აქვს იმედი. ფიქრობენ, რომ რაღაც შეიცვლება, ვითარება დაწყნარდება. დიდი მნიშვნელობა ექნება ალბათ იმ ახალ გუნდს, რომელმაც ახალი მთავრობა უნდა შეადგინოს. უკვე გამოკვეთილია ერთი ფაქტი, ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი ბატონი ედუარდ შევარდნაძე იქნება. ალბათ დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, ქვეყნის ხელმძღვანელთან როგორი მიმართება ექნებათ უმაღლესი რანგის თანამდებობის პირებს და პირიქით, ბატონ ედუარდს რა ურთიერთობა ექნება ამ პირებთან. თქვენ მოგეხსენებათ, რომ გამსახურდიას ხელისუფლება იმანაც დაღუპა, ეს ორმხრივი ურთიერთობა არცთუ პატიოსან, პრაგმატისტულ მომენტებზე რომ იყო აგებული. მაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება ბატონ შევარდნაძისადმი და კაცმა რომ თქვას, ასევე საინტერესოა მისი დამოკიდებულება თქვენდამი. თუ საშუალება მომეცა, ამის შესახებ თავად მას ვკითხავ, ამჯერად კი თქვენ გისმენთ.**

— შევარდნაძის მიმართ ჩემი დამოკიდებულება და სიმპატიები მე არაერთგზის გამომიხატავს. მე, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, ხმა მივეცი შევარდნაძის კანდიდატურას პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე, დარწმუნებულმა იმაში, რომ დღეს მას ჩვენი ერის ხსნა შეუძლია. ზედმეტია ლაპარაკი მის პროფესიონალიზმზე, მამულიშვილობასა და საქმისათვის თავდადების უნარზე. მას აკლდა მხოლოდ ერთი რამ — არ იყო ხალხის მიერ არჩეული. დღეს ეს პრობლემა მოხსნილია. ღრმად ვარ დარწმუნებული, ბატონი ედუარდი, როგორც ბუნებით რეფორმატორი, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საქართველო ტაძრისკენ მიმავალი გზით ატაროს და სადღაც მეჩეთებთან არ ამოგვაყოფინებს თავს...

მას დაჭირდება საკადრო პოლიტიკის ახალ გზაზე, ახალ სიმაღლეზე აყვანა. მე როცა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე ვლაპარაკობ, ბატონო ნოდარ, ერთი რამისა მეშინია — სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები დღეს გაცილებით იოლად უყურებენ დანაშაულის ჩამდენ პირს, ვიდრე ეს იყო სამი-ოთხი წლის წინ. მაშინ ყაჩაღისა და მკვლელის მიმართ რაიმე შეღავათის გატარება ვერ წარმოგვედგინა. დღეს ზოგიერთი გავლენიანი პირის ზემოქმედებით ყაჩაღი, ქურდი, ბანდიტი, ნარკომანი, მძარცველი, მკვლელი, მოძალადე დაუსჯელი რჩება, ეს საშინელებაა. ეს არ იწვევს თვით სამართალდამცავ ორგანოებში იმ პროტესტს, რასაც უნდა იწვევდეს. საჭირო იქნება რადიკალური პოლიტიკის გატარება. სამართალდამცავი ორგანოებიდან უნდა წავიდეს ის ხალხი, რომელიც ვერ გრძნობს იმ საშიშროებას, განუკითხაობა რომ უქადის ჩვენს ქვეყანას. ალბათ, ეს ყველაფერი გათვალისწინებულ იქნება ბატონ ედუარდ შევარდნაძის სამოქმედო პროგრამაში.

**— ბატონო ვახტანგ, ადამიანის ბუნება ასეთია, ხშირად გადახდა და შურისგება ვიცით. პირდაპირ რომ გითხრათ, არიან პირები, რომელნიც თქვენზე იქნებიან განაწყენებულნი. ბუნებრივია, რესპუბლიკის პროკურორს ყველა ვერ ეყოლება მადლიერი. არიან ადამიანები, რომელნიც თავის დროზე ციხეში აღმოჩდნენ, დღეს კი გარეთ არიან და სასარგებლო საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევიან. მათ შორის რამდენიმე კაცი ეგულება საზოგადოებას ისეთი, ედუარდ შევარდნაძესთან პიროვნულად რომ აქვთ ახლო ურთიერთობა. გიფიქრიათ თუ არა იმაზე, რომ ეს ურთიერთობა მათ შეიძლება თქვენ საწინააღმდეგოდ გამოიყენონ და ამით ეცადონ სამაგიეროს გადახდას?**

— სხვათაშორის, ოცდაათ წელზე მეტია პროკურატურის ორგანოებში ვმუშაობ. ჩემი სანქციით, ცხადია, არაერთი კაცია დაპატიმრებული, მაგრამ მე არ მქონია შემთხვევა, საპატიმროდან გამოსული პირი ჩემთან მოსულიყო საყვედურით, პრეტენზიით, რომ მე ისინი უსამართლოდ დავაპატიმრე. არც ის პირები მოსულან, რომლებიც თქვენ გყავთ მხედველობაში, რადგან იციან, რომ სამართლიანად იქნენ დაპატიმრებულნი. ჩემზე უფრო ის პირები არიან განაწყენებულნი, რომელნიც მიჩვიან, რომ არ დავიჭირე ამა თუ იმ მოქალაქის შვილის, ბიძაშვილის, ნათესავის თუ მეგობრის მკვლელი. არადა თუ ვერ დავრწმუნდი ბრალდებულის დანაშაულებრივ ქმედებაში, რამდენი მიტინგიც არ უნდა ჩაატარონ, სადაც არ უნდა მიჩივლონ, მხოლოდ იმისათვის, რომ ვინმეს გული მოვიგო, მე ადამიანს თავისუფლებას ვერ აღვუკვეთავ. ყოველთვის ვცდილობდი და დღესაც ვცდილობ, ვიყო მაქსიმალურად სამართლიანი. შეცდომისაგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ განზრახ შეცდომას არასოდეს დავუშვებ, ეს გამორიცხულია. ამ მხრივ შემიძლია ნებისმიერ მომჩივანთან სრული პასუხისმგებლობით ვაგო პასუხი. რაც შეეხება თქვენს მიერ ნაგულისხმევი ადამიანების გავლენას ედუარდ შევარდნაძეზე ჩემს წინააღმდეგ, მე ამას აბსოლუტურად გამოვრიცხავ. ბატონი ედუარდი თითოეულ ჩვენთაგანს კარგად იცნობს საიმისოდ , რომ თუ ვინმეზე რაიმეს ეტყვიან, ის არ მიიღებს გადაწყვეტილებას მანამ, სანამ ღრმად არ გაერკვევა ვითარებაში. ისე კი, თუ ვინმე რამეს მიაღწევს, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

**— რაკი ყოფილ პატიმრებზე ჩამოვარდა სიტყვა, მინდა ყოფილ პოლიტპატიმრებზეც შეგეკითხოთ. ბატონ ვახტანგ გოგუაძისაგან გამიგია, რომ 9 აპრილის შემდეგ ვახტანგ გოგუაძეს, ჯანსულ ჩარკვიანს და თქვენ, გარკვეული ძალისხმევა გაქვთ გაწეული იმჟამად დაპატიმრებული ლიდერები გამოგეყვანათ საპატიმროდან. ხომ არაფერს გაიხსენებთ ისეთს, რაც საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილია.**

— მე მოსკოვში ვიმყოფებოდი სამკურნალოდ და მხოლოდ 10 აპრილს ჩამოვედი თბილისში. აპრილის თვეშივე სსრკ პროკურატურიდან ჩამობრძანდნენ გამომძიებლები, რომელთაც სურდათ დაედანაშაულებინათ მომიტინგეები და მშრალზედ გამოეყვანათ იმპერიის მოციქული დამსჯელი სამხედროები. საქმე ისე წაიყვანეს სამხედროებმა, თითქოს ძალის გამოყენება მათ აიძულეს მომიტინგეებმა. მე მაშინ გადავწყვიტე, რომ რაკი სამხედროთაგან არავინ იყო დაპატიმრებული, გამენთავისუფლებინა მიტინგის ორგანიზატორი ოთხი დაკავებული პირიც, რათა თანაბარ პირობებში ჩატარებულიყო ძიება. დავრეკე მოსკოვში და მოვახსენე გენერალურ პროკურორს, რომ მიღებული მქონდა ასეთი გადაწყვეტილება. უნდა ითქვას, რომ მან მხარი დამიჭირა. მოვიწვიე ბატონი ვახტანგ გოგუაძე და ჯანსულ ჩარკვიანი, გავანთავისუფლეთ პატიმრები. განთავისუფლებამდე ჩემ სამუშაო კაბინეტში მოვიწვიე ყველანი და მივმართე ასეთი განცხადებით: საქართველოში მძიმე მდგომარეობაა, ორმოციც არ არის შესრულებული ცხრა აპრილის მსხვერპლთა დაკრძალვიდან. გთხოვთ ყველას, მაქსიმალურად ეცადეთ კვლავ არ დაიძაბოს სიტუაცია, რადგან რუსის ჯარი კვლავაც იკადრებს უკადრებელს-მეთქი.

პასუხი ასეთი იყო:

ირაკლი წერეთელმა მსხვერპლის შესახებ გვკითხა და ძალიან შეწუხდა.

ზვიად გამსახურდიამ ფიცი დასდო, რომ დავუბრუნდები სამეცნიერო მუშაობას, აღარაფერი არ მაინტერესებს, ოღონდ აქედან გაგვიშვით და წესრიგს დავამყარებთო.

მერაბ კოსტავამ განაცხადა: ჩვენ მორალური პასუხისმგებლობა გვეკისრება იმ ადამიანების სიკვდილში, ამიტომაც მიმაჩნია, რომ ჩვენს გათავისუფლებას აზრი არა აქვს და აქ [illegible] ციხეშიო.

გიორგი ჭანტურიამ მითხრა — თუ ჩვენ იმიტომ გვათავისუფლებთ, რომ რწმენაზე ავიღოთ ხელი, მაშინ გვირჩევნია ციხეშივე დავრჩეთო.

მოგეხსენებათ, ყველანი გავათავისუფლეთ და ამით ჩვენი ადამიანური, პატრიოტული ვალი მოვიხადეთ.

**— ბატონო ვახტანგ, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ზოგიერთ თქვენს გამოსვლასთან დაკავშირებით რამდენიმე გზის გაგაკრიტიკათ ბატონმა ნოდარ ნათაძემ. საინტერესოა, როგორ უყურებს გენერალური პროკურორი სახალხო ფრონტის ლიდერს?**

— ზოგჯერ ის არ იყო ჩემთან მართალი, უნდა ვაღიარო, ზოგჯერ მე — მასთან. მაგრამ მე მას ღრმა პატივს ვცემ, რადგან ის დარწმუნებულია იმაში, რასაც ლაპარაკობს. მისი გულწრფელობა და კაცობა არასოდეს განაწყობს ასეთი პიროვნების მიმართ მტრულად და უპატივისმცემლოდ. ერთი სიტყვით, ნოდარ ნათაძე ყოველთვის ლაპარაკობს იმას, რაც სწამს.

სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს მე პატივს ვცემ იმის გამო, რომ ის არის უაღრესად მართალი, პატიოსანი და პირდაპირი კაცი. მას შეუძლია მოურიდებლად მიმართოს ყველას, ვინც არ უნდა იყოს იგი, თუ ის დარწმუნდა ამ მიმართვის საჭიროებაში. ამასთან, ბატონი ნოდარი თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანია, ესეც ყველამ ვიცით. ასე რომ, მის კამათს ამა თუ იმ პირის მისამართით არასოდეს პიროვნული, ეგოისტური საფუძველი არ უდევს. ბუნებრივია, ასეთი პიროვნებისაგან გამოთქმული შენიშვნა ისე არ გაგამწარებს, როგორც იმ ადამიანისა, რომელიც ვითომ საქმის გამო გეკამათება, სინამდვილეში კი საქმე ფეხებზედ ჰკიდია, ოღონდ პიროვნულად გავნოს რამე.

**— ტერორისტთაგან რამდენი კაცია დაპატიმრებული და ნამდვილად არიან თუ არა ისინი ტერორისტები, ანუ არ ჭერათ, არ ჭერათ...**

— დღეს 50 კაცზე მეტია დაპატიმრებული იმ პირთაგან, რომლებიც ტერორისტული აქტებისა და დივერსიების ჩატარების გზით ცდილობდნენ არჩევნების ჩაშლას. უდავო ნივთმტკიცებანი გვაქვს მათი ბრალეულობის დასამტკიცებლად. არიან პირები, რომელთაც სურთ სხვანაირად წარმოაჩინონ საქმე. მაგ.: გაზეთმა „იბერია სპექტრმა“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „რატომ დააპატიმრეს უდანაშაულო მეცნიერ-მუშაკი?“ რედაქცია რომ ამ წერილის გამოქვეყნებამდე დაგვკავშირებოდა ვეტყოდით, რატომ დავაპატიმრეთ „უდანაშაულო მეცნიერ-მუშაკი“, მაგრამ ეს გაზეთი სენსაციური მასალის გამოქვეყნებისთვის ყველაფერზე მიდის.

**— გაზეთის მესვეურები თავადაც აცხადებენ: ჩვენ სახალხო გაზეთი ვართ და რასაც მკითხველი გვაწვდის, იმასვე ვბეჭდავთო (?).**

— ბატონო ნოდარ, ჟურნალისტებს ჩემგან არ უნდა ესწავ-

(გაგრძელება მე-8 გვ.)

# ორშოლტიანი მათრახი

როსტომ ჩხეიძე

აქ... აქ ჩააგდეს ოსმალებმა გიორგი სააკაძე თავის მოკვეთის წინ.

ჰალების ციხე-სიმაგრის აი, ამ დილეგში.

ამ საკნებში იყვნენ გამომწყვდეულნი: ერთში — დიდი მოურავი, მეორეში კი — მისი ერთგული თანამებრძოლნი.

დილეგს ამჟამად გვერდით ჩასდევს რკინის ვიწრო კიბე, ცოტა საფრთხილო ჩასასვლელი და წინასწარვე ამიტომაც გამცნობენ, ქვემოთ ჩასვლა სულაც არ არის აუცილებელი, აქედან რაც ჩანს, კიბის თავიდან, იმის ნახვაც სრულ შთაბეჭდილებას შეგიქმნით დილეგის აღნაგობაზეო. ტყვეებს აგერ იმ ხვრელიდან — დილეგის შუაში, ანუ საკმაოდ მაღლა, გამოჭრილ რკინის გისოსებიან, კაცის სიგანე ხვრელს დაგანახვებენ — ჩამოუშვებდნენ ხოლმე ჯაჭვებით და აქედან გაქცევა ყოვლად წარმოუდგენელი იყოო.

— ნახეთ არა?.. ძალიან კარგი, ახლა აქეთ წამობრძანდით, აქ იმდენი ღირსშესანიშნაობაა, დილეგი რა მოსატანია... თქვენ სად... სად ჩადიხართ ... ხომ გითხარით, ქვემოთ ისეთს ვერაფერს ნახავთ, რაც აქედან არ ჩანდეს...

მაგრამ ამ სიტყვებს გონება მხოლოდ მექანიკურად აღნუსხავდა, თორემ რა შეგვაჩერებდა: კიბეზე სწრაფად ჩავდიოდით ორნი, სიფრთხილესაც არ დაგიდევდით, იქ, საკნის ფსკერზე უნდა დაგვედგა ფეხი, ხელით შევხებოდით შიშველსა და შემზარავ კედლებს, იქიდან ამოგვეწვდინა თვალი ვიწრო ხვრელისათვის — არა, აქედან ვინ გაიქცეოდა, მართლა განწირული იყავი.

საკნებს შორის რკინის ცხაური მოშლილია და მხოლოდ კედლების თავისებური აღნაგობა მიგახვედრებს, რომ დილეგი ერთიანი არ იქნებოდა.

მეტი სანახაობა არაფერია... თუმც ვისთვის როგორ... დაგუბებული ნესტიანი ჰაერი ჯერ მხოლოდ მოგველამუნა და აქ ერთხანს უნდა დავყოთ, რათა უფრო მძაფრად და რეალურად შევიგრძნოთ: სად აღმოვჩნდით.

რამდენი ვაება და სასოწარკვეთილი გოდება ახსოვს ამ კედლებს, რა აღარ დაუტევია მის ცივ შემზარაობას — რა რჯულისა და ეროვნებისანი არ მოხვედრილან აქ, რა წარჩინებისანი და გვარისანი, რა ძალაუფლებისა და პატივმოყვარეობისანი, დიდების მწვერვალიდან უფსკრულში რომ ჩანარცხებულან: მათი ლანდები რომ გამოვიწვიოთ, ალბათ უკიდეგანო ზღვის ტალღებივით წამოიშლებიან, მაგრამ ამ უკიდეგანობაში მაინც გამოვარჩევთ ერთ ტალღას, ლანდთა იმ წყებას, გიორგი სააკაძესა და მის მცირე რაზმს რომ გვახსენებს, მათ ტრაგიკულ აღსასრულს საქართველოდან ასე შორს, გადაკარგულში.

ვიდრე შერისხავდნენ, გიორგი სააკაძე ოსმალეთშიც ისევე აღზევებულიყო, როგორც ირანში, სულთანსაც ისევე თავდადებით ემსახურებოდა და მის ძლიერებას განამტკიცებდა, როგორც შაჰისას; და თავის ბრძოლებით აღვსილ ბიოგრაფიას — განვენილს ვეება არეალზე ხმლის დაუცხრომელი ქნევით — ვინ იცის, კიდევ რამდენ გამარჯვებას შემატებდა, ხუსროვ ფაშასთან რომ არ დაესმინათ — ღალატს იზრახავსო, იმას კი, შურისაგან ისედაც გაგულულს, მარჯვე მიზეზი არ ეპოვნა გურჯი სარდლის ჩამოსაშორებლად.

როგორ შეიძ[illegible]ება უცხო იყოს ეს დილეგი [illegible]თვის, როგორ შეიძლება თვი[illegible]ს შემზარაობაში არ შევიგრძნოთ ტკივილიანი სიახლოვე, რალა[illegible] მშობლიურის განცდა, თითქოს აქ პირველად კი არ ვეხებით კედლებს და პირველად კი არ ავყურებთ გისოსებიან ხვრელს, ეს ყოველივე ბევრჯერ გადაგვიტანია გაუნელებელი სიმძაფრით: იმდენჯერ, რამდენჯერაც ლევან გოთუას „უგზო ქარავანი“ გადაგვიშლია ან წამოგვაგონდება ხოლმე.

იქნებ „ქართლის ცხოვრების“ ის ცნობილი ეპიზოდიც საკმარისი ყოფილიყო, რათა გუმანით მიგვეკვლია, რა ვნებათა ღელვაც ტრიალებდა სააკაძის რაზმელთა სულში, რა გულის ჭიდილი ღრღნიდა თვითონ დიდ მოურავს, ანდა იმ საქციელის ტრაგიკული მშვენიერება შეგვეგრძნო: სააკაძის მხლებელს, გორგასალს, ოსმალო იასაული რომ მოუქრთამავს და შემუდარებია, ჩემი სიკვდილმისჯილი შვილის სანაცვლოდ მე მომკვეთე თავი, შენ მაინც ანგარიშში არ დაგაკლდებაო... და მამის თავგანწირვის წყალობით ბეჟანი გადარჩენილა და სამშობლოშიც დაბრუნებულა...

იქნებ... მაგრამ არა... გუმანით მიკვლევა ასეთი გამორჩეულად შთამბეჭდავი ვერ იქნებოდა, რაც მხატვრულ სიტყვაში გაცოცხლებულ წარსულს შეუძლია, ვერც სულის ფარული მოძრაობანი აღიბეჭდებოდა ასეთი სახიერებითა და [illegible]სიზუსტით და ვერც ეს დამთრგუნველი გარემო გაგვიღვიძებდა ისეთ მშობლიურ მწუხარებას, რაც ქართული ბელეტრისტიკის ამ ერთ-ერთ შედევრს შთაუნერგია ჩვენთვის.



ალეპოს (ჰალების) ციხე-სიმაგრე.
ამ ციხის დილეგში გაატარა უკანასკნელი დღეები გიორგი სააკაძემ...

— რა ნახეთ მანდ ამისთანა?!

ვნახეთ, ალბათ...

უგზო ქარავანის მეტაფორა ხელშესახებად წარმოსახავს სააკაძისა და მისი რაზმის ბედისწერას, რაც ტრაგიკულ აღსასრულს რომც არ გადაეჭრა, ისედაც მწარე და გაუხარელისი გამ[illegible]ყო. ამ ბედისწერას გადაეხვეწა ამ სიშორეზე და უგზოუკვლოდ დააქანებდა.

თუმც დიდი მოურავი ბედსაც არ ეპუებოდა, ზედ ეხლებოდა და მისი დამორჩილების იმედით სულდგმულობდა. დამორჩილების, აბა, მის წყალობას ხომ არ დაელოდებოდა, იქნებ აღარც სწყალობდა, მას კი სამაგიეროს გადახდის ჟინი არ აძლევდა მოსვენებას: ბაზალეთის მარცხი კვლავაც გულს უფატრავდა და ისე როგორ ჩასულიყო სამარეში, თეიმურაზ I-ის ჯავრი არ ამოეყარა.

დიდი მონდომებით ემზადებოდა და — როგორც მიხეილ სვანიძემ გაარკვია ისტორიულ ნარკვევში („გიორგი სააკაძე ოსმალეთში“) — ფარულ ქსელს ირანშიც ხლართავდა, შაჰის კარზე თავშეყრილ ქართველ დიდგვაროვანთა საკმაოდ ძლიერ წრეს უკავშირდებოდა და საქართველოსკენ ლაშქრობისათვის აქეზებდა.

ის თავისას ცდილობდა, მაგრამ იქ თვითონ მის გარშემო მოქსოვეს ხლართები და განზრახული აღარ დასცალდა. როცა მიხვდა, აქ აღარ დამედგომებაო, გამოქცევა სცადა, მაგრამ გზები უკვე ყველგან შეკრული იყო და უგზო ქარავანს ბედისწერა მალე შედენიდა ჰალების დილეგში.

საქართველოს გაერთიანება არ დააცალესო — ასეა შეფასებული ეს მოვლენა ჩვენს თანამედროვე ისტორიოგრაფიაში, ისევე, როგორც დიდი მოურავის მთელი მოღვაწეობა როგორც დაუცხრომელი მებრძოლისა საქართველოს გადასარჩენად და გასაერთიანებლა[illegible]... თუმც თვით ივანე ჯავახიშვილი არ ეთანხმებოდა ასეთ განსაზღვრებას... ოღონდ არ ეთანხმებოდა გულებაში, თორემ ჩვენი დიდებული ისტორიკოსი დაბეჯითებით ვერც გამოთქვამდა ამ თვალსაზრისს: „ვერც კარგს ვიტყვი, ვერც ავსა“ — ასე აირიდებდა თავის ასპირანტებსაც (ვალერიან გაბაშვილის ცნობა) და მიზეზი, ნათელია, კარგი არ ემეტებოდა, რადგან პირუთვნელად განსჯიდა გიორგი სააკაძის პიროვნებასა და მოღვაწეობას, ხოლო ავის თქმას ვინ დაანებებდა — [illegible]დი მოურავი თვით სტალინს განედიდებინა და გმირად დაესახა, უშუალოდ და მონდომებით ჩარეულიყო მისი კულტის შექმნაში და საბჭოურმა იდეოლოგიამაც — ისტორიოგრაფიამ და ხელოვნებამ ხალხის გონებაში მტკიცედ ჩაბეჭდა ეს კულტი, ისეთივე მონუმენტური და ხელშეუხებელი, როგორც რევოლუციისა და სამოქალაქო ომის გმირთა სახელები.

მერე რა, რომ სამი საუკუნე აშორებდათ დიდი მოურავის ცხოვრებას.

სტალინმა მის სახელში იდეალი ჰპოვა, სულიერი სიახლოვეც იგრძნო და გმირობის ნიმუშადაც ამიტომ დასახა: გლეხური წარმოშობის კაცის აღზევება და მეფის წინააღმდეგ თავგამეტებული ბრძოლა თავისი ცხოვრების გზას აგონებდა და ხიბლავდა; როგორც წინამორბედს, ისე შეჰყურებდა. გიორგი სააკაძის ფენომენი სხვა მხრივაც იყო მისთვის მიმზიდველი: თუ (ან რატა თუ) სააკაძის სახელი გმირობის სიმბოლოდ დაკანონდებოდა, ეს იქნებოდა თვალსაჩინო და მეტყველი ნიმუში იმის მტკიცებისთვის, რომ უცხო და მტრული სახელმწიფოს კარზე აღზევება და მშობლიური ერის ინტერესების გაყიდვა შესაძლოა ყოფილიყო არა ღალატი და რენეგატობა, არამედ წინასწარ ჩაფიქრებული ფანდი, თვალისამხვევი და მარჯვე საშუალება სწორედ ქვეყნის გადასარჩენად. ამის მტკიცებას მეტი დამაჯერებლობისა და ხალხის ასაყოლიებლად თავისთავად უნდა მოჰყოლოდა ჩვენი დიადი იდეალის — საქართველოს გაერთიანების — დაკავშირება სააკაძის სახელთან, რაც მის სახეს შარავანდედით შემოსავდა.

დიდი მოურავის სახის ეს ნიშნები — გლეხური წარმოშობა, ბრძოლა მეფის ძალაუფლების წინააღმდეგ ხალხის საკეთილდღეოდ, მიზანსწრაფული მცდელობა საქართველოს გასაერთიანებლად — რაც საბოლოოდ დამკვიდრდა სტალინის ნებით, მისი გამოგონილი არა ყოფილა. იგი ეყრდნობოდა და იზიარებდა ხალხოსანი მწერლის ანტონ ფურცელაძის წიგნის — „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“ — ძირითად მტკიცებებსა და პათოსს, წიგნის, რაც ძალდაუტანებლად მიყრუვდებოდა და არც ფურცელაძისეულ მტკიცებებს მოჰყვებოდა აღიარება, რადგან ისტორიული სინამდვილე იმთავითვე სხვაგვარი ჩანდა.

ხალხოსანი მოღვაწის მხრიდან, ისევე, როგორც მოგვიანებით რევოლუციის მებაირახტრის მხრიდან, გასაგებია აღტაცება მეფის მოწინააღმდეგის პიროვნებით, რაც კიდევ უფრო დამშვენდებოდა ამ პიროვნების დაბალი წარმოშობით — უწარჩინებულესი გვარისა რომ არ ყოფილა, ესეც ცხადი იყო და ამან უბიძგა ანტონ ფურცელაძეს, საგანგებოდ შეეთხზა სააკაძის გლეხური წარმოშობა, როგორც მარჯვე ხერხი ხალხოსნური პროპაგანდისათვის. საქართველოს გაერთიანებისათვის მისი ბრძოლა იქნებ საგანგებოდ არ გამოუგონია, მაგრამ რაკილა მეფის ხელისუფლებას გლეხური წარმოშობის კაცი უპირისპირდებოდა, მისთვის ყველაფერი გაემეტა და ასე სცადა გიორგი სააკაძის გაორებული [illegible] შელამაზება, მისი [illegible] ციის [illegible]ლდგენა.

მაგრამ დიდი მოურავის სახის შელამაზებისათვის ზრუნვა, გვინდა თუ არ გვინდა, იწვევს სააკაძის პიროვნული სახისა და ისტორიული მოვლენების გადასხვაფერებას.

გიორგი სააკაძე გლეხური წარმოშობისა არა ყოფილა; და თუმც თავიდან არც ისე აღმატებული გახლდათ, როგორც სხვა დიდგვაროვანნი, მაგრამ იშვიათმა ენერგიამ და პატივმოყვარულმა ჟინმა მალე დააწინაურა და ქართლის მოურავად რომ მოევლინათ და მძლავრი ფეოდალიც შეიქნა, სხვა წარჩინებულთ და სამეფო კარს (ჯერ ლუარსაბ II-ს და მერე თეიმურაზ I-ს) ძალაუფლებისათვის დაუპირისპირდა, რათა ერთპიროვნული გამგებელი შექმნილიყო.

და როცა სძლიეს ერთხელაც, მეორედაც, არც საქართველოს მიმართ გველეშაპივით დაღერებული ირანისა და ოსმალეთის ქვეშევრდომობა უთაკილნია და არც მათი დახმარების გამოყენება თავისი მიზნებისათვის. ყოველთვის ნათელი იყო მისი მზვაობარი და გაორებული ბუნება და თუმც ფურცელაძემდე საკმაოდ ადრე იოსებ სააკაძეც გულმოდგინედ წმენდს დიდი მოურავის სახეს თავის პოემაში, მაგრამ ეს რას უშველის, როცა გიორგი სააკაძე არც მე-17, არც მე-18 და არც მე-19 საუკუნეებს ეროვნულ გმირად არ უღიარებიათ. არც ღვაწლს უკარგავდნენ — მის ბიოგრაფიაში ნათელ წერტილებად აელვარებულ ტაშისკარის, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებს, მაგრამ ის მეორე, სავალალო მხარე მისი მოღვაწეობისა არ აძლევდათ საშუალებას დიდი მოურავის ცხოვრება სამაგალითოდ დაესახათ.

—თქვენ ამოსვლას აღარ აპირებთ?..

ვაპირებთ, აბა, აქ ვინც დარჩა, რა ხეირი ნახა.

აი, გრიგოლ რობაქიძისათვის კი სწორედ სამაგალითო გახლდათ. თუმც ფურცელაძისგან განსხვავებით ხალხოსნური იდეები სრულებით არ აწუხებდა, მაგრამ დიდი მოურავი მის გონებას სხვა მხრივ ალაგზნებდა: როგორც ძლიერი პიროვნება. ნიცშეს „ზეკაცის“ გავლენით (რაც ცოტა თავისებურად ესმოდა) გრიგოლ რობაქიძე აღიარებდა ძლიერი პიროვნების კულტს და გიორგი სააკაძის აჩრდილსაც ისევე უმზერდა როგორც თემურლენგს, ლენინს, ჰიტლერს, მუსოლინის...

მართალია სააკაძე ამხელა გაქანებისა არა ყოფილა, მაგრამ მისი ბიოგრაფიაც უთუოდ გამოდგება ძლიერი პიროვნების ცხოვრების ნიმუშად: სხვაგვარად ასე თვალსაჩინოდ ვერ გამოირჩეოდა ირანისა და ოსმალეთის ამხელა იმპერიებში და არც ისაა შემთხვევითი, რომ შაჰ-აბასის შვიდი ყველაზე გამოჩენილი სარდალი სააკაძესთან კონფლიქტსა და ბრძოლას შეეწირა... და ამიტომ რა გასაკვირია, „ვეფხის პერანგში“ მისი ლანდის გამოჩენას დითირამბები რომ ეძღვნება. ეს პასაჟი კამათის ხერხითაა დაწერილი: ერთი მოპაექრე განადიდებს და მეორე ამცირებს... ის ერთი ამტკიცებს, რომ: მან გაჰყიდა საქართველო, სპარსელებს მიემხრო და მათი ჯარით მოადგა ჩვენს საზღვრებს, და თუ მერე თვითონ სპარსელები გაჟლიტა, ეს იმან გადააწყვეტინა, რომ შაჰ-აბასის შიკრიკი შეიპყრო, ვისაც საიდუმლო ბარათი მიჰქონდა ყორჩილახანთან, ქართველებს რომ დაამარცხებთ, აღარც სააკაძე აცოცხლოთო; ხოლო მეორე ყველაფერზე პასუხს შეაგებებს: მას არ გაუყიდია საქართველო, ბოლოსდაბოლოს გარკვეული მიზეზით საქართველო იოანე ბერმაც მიატოვა და განა იგი მოღალატეა? დიდ მოურავს შეშლილივით, გახელებით უყვარდა თავისი ქვეყანა და თუ სპარსელებს მიემხრო, მხოლოდ იმიტომ, რომ გული მოეგო მათი, შემოეტყუებინა და მარცხი ეჭამა, და შიკრიკი რომც არ შეეპყრო, აჯანყ[illegible]ბა მაინც გადაწყვეტილი ჰქონდა და [illegible] დატოვებული შვილის [illegible] კვდილსაც იყო შეგუებული

„გამცემია მაინც", არა თმობს პირველი.

„გმირია ნამდვილი", არ ეპუება მეორე.

თითქოს კამათის მეშვეობით ავიც და კარგიც პირუთვნელად და თანაბრად უნდა წარმოჩნდეს, მაგრამ საერთო პათოსი ისეთია, სიმბოლოც ისეა განზოგადებული (საქართველოს გაერთიანება სააკაძის გადატეხილი ხმლის გამთლიანებასთანაა დაკავშირებული) და რეფრენიც ისე შერჩეული („დამარცხდა სააკაძე?" — წამდაუწუმ მეორდება როგორც ქვეყნისთვის საბედისწერო მოვლენა), რომ ავი საქმენი იჩქმალება და დიდი მოურავი გმირად და იდეალად წარმოგვიდგება.

ვასილ ბარნოვმა სამაწილიანი რომანი — „განგების გრკალში" — მიუძღვნა და რომანტიკულად გაიაზრა გიორგი სააკაძის სახება: ქვეყნისთვის მოჭირნახულე გმირს შევყურებთ, მაგრამ იბზარება და იმღვრევა ეს თითქოსდა მონუმენტური სული და თანდათან იკვეთება დიდი მოურავის შინაგანი გაორება.

მერე უკვე წარმოუდგენელი გახდება გიორგი სააკაძის ოდნავ ხინჯზე მინიშნებაც კი, მისი სახის ირგვლივ მჭიდროდ შემოიგარსა ხელოვნური შარავანდედი და ასეთ ვითარებაში მითუმეტეს დასაფასებელია „უგზო ქარავანის" შექმნა და არც ისაა მოულოდნელი, რომ 1946 წელს დაწერილი მოთხრობა 11 წელიწადს არ გამოქვეყნებულა.

დიდი მოურავის სახეს აქაც გადაკრავს რომანტიკული ხიბლი (ლევან გოთუა, ვასილ ბარნოვისა არ იყოს, თვითონ გახლდათ რომანტიკული ბუნების პიროვნება და ყველა ადამიანში სიკეთის მარცვლებს ეძებდა), რადგან წარმოგვიდგება მონანიე კაცად, ვისთვისაც სიცოცხლის მიწურულს ცხადი გამხდარა სამშობლოს წინაშე ჩადენილ ცოდვათა სიმძიმეც და თავისი ის დაბნეულობაც, რაც დალად დაჩნევია მის ბიოგრაფიას და უგზოობის ჩიხში მიუმწყვდევია მისი სწრაფვანი.

„კაცად კაცმა ისე უნდა გავლო სავალი, ბოლოს არსად შეგრცხვეს, თავიდან რომ მოგიხდეს დაწყება, ისევ ის გზა აირჩიო, ისევ ის!.. ჩემი გზა სტამბოლამდე გადასერილა, მაგრამ ვაი თუ მისი ნამჯა და ხვავი ერთ ქართულ კალოსაც არ ეყოს სალეწად!.. მსხვერპლი შინაგანად წმინდა უნდა იყოს, თუ არა, ისე ათასი ხარ — კამეჩი იკვლება სასაკლაოზე! ერთხელ უკულმა მოქნეულ ხმალს ათჯერ წალმა მოქნეული ხმალი ვერ გამოაბრუნებს. მე მარჯვენა მიჭრიდა, გული კი გაბზარული მქონია. რაღაც ვერ დავთმე, მომერია, დამძლია. ხმლის მარჯვედ ქნევა კი რა ბედენაა?!" — ბორგავს უდაბნოში ლტოლვილი სააკაძე და ამ დილეგში უფრო მძაფრი იქნებოდა ეს ბორგვა.

ნეტა მართლა თუ ინანიებდა? მართლა თუ შეძლებდა თვალი გაესწორებინა სინამდვილისათვის?

ყოველ შემთხვევაში, ლევან გოთუა თანაგრძნობით ეძცევა თავის პერსონაჟს: და დიდი მოურავის არსებაში მონანიე ხნის გაღვიძებით წარმოისახება სისხლითა და ხორცით აღვსილი პიროვნება და არა პირწმინდა ბოროტება: მარტოდენ რენეგატი. ასეთი თანაგრძნობა გამოწვეულია არა რაიმე იდეოლოგიური ზეგავლენით, არამედ სააკაძის იმ სასახელო ბრძოლებით, ტაშისკარის, მარტყოფისა და მარაბდის სახელით რომ ალბეჭდილა ჩვენს ცნობიერებაში.

მაგრამ ეს ხელს არ უშლის, დაგვანახოს გიორგი სააკაძის რეალისტური და პირუთვნელი პორტრეტი, თვალწინ გადაგვიშალოს იმგვარი ყოფა და ცხოვრების გეზი, „უგზო ქარავანის" გარდა სხვა მეტაფორაშიც რომ ჩაწურულა: „ორშოლტიანი მათრახი".

ეს მათრახი, განუყრელი გიორგი სააკისათვის და ერთნაირად გამმეტებელი მტრისაც და მოყვარისაც, მტვერში გდია მალათიის გზაზე, როგორც წინასწარმეტყველური ნიშანი მისი პატრონის გარდუვალი დალუპვის და, რაც მთავარია, სულიერი ჩიხისა.

— მანდ ვინ ხართ?..

ახლა სხვები მოსდგომიან კიბის თავს და ვერ გაუგიათ, რას დავბორიალობთ ამ ჩავარდნილ სიცარიელეში: ზემოდან აჩრდილები არა ჩანს და ვერც ბორგვის ხმა აღწევს, ამ უმტკიცეს კედლებს რომ აწყდება.

საგულისხმოა, რომ მოგვიანებით ლევან გოთუას ამ მოთხრობის ანალიზი მარჯვე საშუალება გახდა აკაკი ბაქრაძისათვის (ჩართული პასაჟი წერილში „ტრაგიკული ოპტიმიზმი") და თამაზ ნატროშვილისათვის („ყმა სიმართლისა") გიორგი სააკაძეზე მიუკერძოებელი სიტყვის სათქმელად. ა. ბაქრაძემ კიდევ ერთხელ განსაჯა სააკაძის სულიერი გაორება (კვლავ ჩართული მონაკვეთი წერილში „მკვახე შეძახილი"), ხოლო თ. ნატროშვილმა მიუძღვნა მხატვრულ-ისტორიული ნარკვევების ციკლი („ესე საქმე მოურავმა", „ორი მოურავი", „ბაზალეთი", „მარაბდა"...), სადაც — დიდი მოურავის უდაო დამსახურებათა წარმოჩენასთან ერთად — გარკვეულია საიდუმლოებით მოცული ზოგიერთი მხარე და დაზუსტებულია არაერთი ისეთი გზრემოება, რაც გაცილებით ღრმად გვახედებს იმ ისტორიული მოვლენების არსსა და თვითონ სააკაძის მიზნებში.

ამ ნარკვევებში აღდგენილი ისტორიული სურათები ის შეუვალი სიმართლეა, რაც საბოლოოდ გადააფასებს წარმოდგენებს გიორგი სააკაძეზე.

განა ეროვნული გმირობა სულიერ მონოლითურობასა და გაუბზარაობას არ გულისხმობს?

კიდეც რომ ვირწმუნოთ, შაჰის საიდუმლო ბარათი რომც არ ჩაეგდო ხელში, დიდ მოურავს თავიდანვე ჰქონდა გადაწყვეტილი აჯანყების დროშის აფრიალებაო, ვერც მარტყოფი და ვერც სხვა ბრძოლები ისე ვერ გადასწონის მის გახლეჩილ სულს, რომ გიორგი სააკაძე ეროვნულ გმირად ვაღიაროთ.

როცა ერს არა ჰყავს გმირი, არა ჰყავს იდეალი, ვისაც ნიმუშად დაისახავს, კიდევ გასაგებია, იოლად რომ აჰყვეს ცდუნებას და თავის რომელიმე გამორჩეულ შვილს მიუტევოს თუნდ მძიმე შეცოდებანი, მიჩქმალოს და მიაყრუოს და, სამაგიეროდ, უსაშველოდ გააზვიადოს მისი ღირსებანი, თუკი რამ სასიკეთო ჩაუდენია და ამ ოცნების გმირს, ეთაყვანოს.

მაგრამ ჩვენ რა გაგვჭირვებია ისეთი, რომ ეროვნული გმირები გამოვიგონოთ, მივჩქმალოთ სიავენი, გავაზვიადოთ ღირსებანი: განა ცოტა გვყავს ჭეშმარიტი ეროვნული გმირები, რომელთა სახესაც არავითარი, ერთიბეწო შელამაზებაც არა სჭირდება, რომელთა წმინდა და თავგანწირული სულები არაფერს აუმღვრევია და ნუგეშისა და გაუტეხლობის იმედსაც მათ მოგონებაში ვპოვებთ.

განა ცოდონი არ არიან, რენეგატობის გზაზე შემდგარი კაცი გვერდით რომ დავუტოვოთ?

გიორგი სააკაძე ნამდვილად არის ტრაგიკული ფიგურა, მაგრამ ტრაგიკულობა გმირობას არ ნიშნავს.

იდიალური გმირისაგან დაუჯერებელი იქნებოდა, მაგრამ ახლა აღარც ის გვიკვირს მოწამის — ლუარსაბ II-ის სისხლში გიორგი სააკაძის ხელიც რომ არის გასვრილი: შაჰის კარზე ის ხლართავდა ინტრიგების ქსელს ლუარსაბის გარშემო და აქეზებდა შაჰ-აბასს, ცოცხალი არ დაეტოვებინა ქართლის მეფე...

ჯერ ადრეა რევოლუციების ხანა — თვით ინგლისსა და საფრანგეთში მერე გამოდიან პოლიტიკურ ასპარეზზე კრომველი და რობესპიერი — და მეფობის ინსტიტუტის მოშლა ჩვენში სრულიად წარმოუდგენელია. ეს ვერც სააკაძეს წარმოუდგენია და ამიტომ გარეგნული იერარქიული წონასწორობის დასაცავად მოინდომა მარტყოფის ძლევამოსილი აჯანყების შედეგად ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეთაურად თეიმურაზ I (საგულისხმოა, ამ ნარკვევთაგან ერთ-ერთში გამომზეურებულია ისეთი ისტორიული ცნობები, რაც წარმოაჩენს თეიმურაზის აქამდე მიჩქმალულ როლს მარტყოფის აჯანყებაში). თვითონ მოიწვია და მის ერთგულებაზე ფიცი დასდო, მაგრამ ნათლად ჩანს დიდი მოურავის ფარული ზრახვები: თვითონ ყოფილიყო რეალური ხელისუფალი, ერთპიროვნული გამგებელი და თეიმურაზი მხოლოდ გარეგნულად აღჭურვილიყო სამეფო რეგალიებით, მაგრამ თეიმურაზ I შაჰაბასს არ დამორჩილებია და სააკაძეს როგორ დაუდგებოდა ყმად. და რაკიღა დიდი მოურავის ოცნებანი ასეთ გადაულახავ დაბრკოლებას წააწყდა, ქართლში იმერეთიდან მოწვეული უფლისწულის — ალექსანდრეს — გამეფება გადაწყვიტა ანუ კახეთის ხელიდან გამოცლას შეეგუა და მხოლოდ ქართლში გამგებლობას დაჯაბუდა. ოსმალეთთან უკვე ჰქონდა გაბმული დიპლომატიური ძაფები და მათ საგანგებო სიგელით გიორგი სააკაძე ქართლის ბატონ-პატრონად სცნეს. დიდმა მოურავმა ფულიც კი მოჭრა თავის სახელზე... მეფეთა ტოლად რომ მიაჩნდა თავი, ბაზალეთის ბრძოლის დაწყებამდე ამიტომაც გაუგზავნა თეიმურაზს თავისი ალკაზმულების ნიშნები, რაც რაინდული წესისამებრ ორთაბრძოლაში გამოწვევას გულისხმობდა...

ეს გახლდათ ერთი მიზეზი თეიმურაზ I-თან სისხლიანი და გარდუვალი შეჯახებისა. მაგრამ ბაზალეთის ომი მარტოდენ ამას არ მოჰყოლია. როგორც ყოველ სამოქალაქო ომში, აქაც პირადულთან ერთად გადამწყვეტი მიზეზი — როგორც გარკვეული აქვთ ჩვენს აღმოსავლეთმცოდნეებს (ვალერიან გაბაშვილი, მიხეილ სვანიძე) — ყოფილა განსხვავებული ორიენტაციები საგარეო პოლიტიკის კურსის არჩევაში: მარაბდის ბრძოლის მერე — რამაც დაასამარა შაჰ-აბასის ოცნება ქართლ-კახეთის დამონებისა — გიორგი სააკაძე ოსმალთა მხარდაჭერას ეძიებდა, თეიმურაზ I — ყიზილბაშთა.

ისტორია მეფის არჩევანს ამართლებს.

„განა საეჭვოა, რომ ფაქტიურად ფარ-ხმალ დაყრილ შაჰთან მორიგება სჯობდა კვლავ ოსმალეთისაგან დახმარების ძიებას?" — წერს თამაზ ნატროშვილი და მიაჩნია, რომ სწორედ ირანთან დაზავება-მორიგება იყო მაშინდელი პოლიტიკური ვითარების ფხიზელი შეფასება („... ბაზალეთმა სწორი და გონიერული გეზი მისცა ქართლის ბედს, სათავე დაუდო ირანთან პოლიტიკური ურთიერთობის იმ კომპრომისულ ფორმას, რომელმაც ლამის ერთი საუკუნე გასტანა და, მიუხედავად ზოგიერთი ხინჯისა, საგრძნობლად შეუწყო ხელი ქვეყნის ეკონომიურ მრეწნიერებას და ქართული კულტურის თვალსაჩინო აღმავლობას").

ამასთან: არამც თუ გაერთიანებულ საქართველოზე ოცნება და მიზანსწრაფული მცდელობა მის ხორცშესასხმელად, გიორგი სააკაძემ ძლივას შეკოწიწებული ქართლ-კახეთის სამეფოს დაშლაც კი მოინდომა, რაკიღა თეიმურაზი თავის მორჩილებაში ვერ მოიქცია. ეს პატარა ერთიანობაც — იმ დიდ მიზანთან შედარებით — პატივმოყვარულ წადილს უმსხვერპლა.

ამ ბუნების პიროვნება ბაზალეთის დამარცხებას როგორ შეეგუებოდა ან თავის მიზანს როგორ შეელეოდა და ახლა ოსმალეთიდან რომ ჩაეფიქრებინა ლაშქრობა, [illegible] ძნელი მისახვედრია, რომ საქართველოს გაერთიანება კი არა, ბაზალეთის შურისგება ედებოდა გუნებაში? და რაც აღმოსავლეთიდან შემოჭრით დააკლო აოხრება თავის ისედაც უბედურ ქვეყანას, ახლა დასავლეთიდან ლაშქრობით აზღვევინებდა.

ეს დაბეჯითებით ითქმის, თუკი ყოველივეს პირუთვნელად განვსჯით.

ღმერთმა იცის, რას განიცდიდა და ნანობდა ჰალების დილეგში: თავისი სულის გაორებას თუ თეიმურაზის დამხობა რომ არ დასცალდა, მაგრამ ჩვენ მაინც ვიფიქროთ, რომ თავისი განვლილი ცხოვრება უფრო აღუძრავდა მწარე ფიქრებს — ამით გამოვხატოთ პატივისცემა იმ ბრძოლებისადმი, რაც საქართველოსთვის გადაუხდია; და ლევან გოთუას კვალობაზე ჩვენც გვეგონოს, რომ ვიდრე მორის ხმაური შთანთქავდა ყოველივეს, გიორგი სააკაძის უკანასკნელი სიტყვები ეს, ან რაიმე ამგვარი იქნებოდა: „არც ხმალი ვარგა ორპირი, არც მათრახი ორშოლტიანი. დიდ სიბრძნეს ზოგი თავში გაიგებს, ზოგი ბოლოს..."

— ამოდით, თორემ სხვა ვერაფრის ნახვას ველარ მოასწრებთ!..

მოვასწრებთ, რატომ ვერა... არ გვეომება კი, აქ როდისღა მოეხედებით... მაგრამ ამოვყვებით ამ ვიწრო კიბესაც, დავივლით უშველებელ დარბაზებსაც და ტალანებსაც, ავყვებით კოშკებს, ავალთ მაღლა, სულ მაღლა და იქიდან გადავხედავთ მცხუნვარე მზით გათანგულ ალეპოს.

# რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ!

ლევ ტოლსტოი ბრძანებდა: „ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთსა ჰგავს, ხოლო ყველა უბედური ოჯახი თავისებურად უბედურია"-ო.

საქართველოში დღეს ომია. ომს კი თავისი მკაცრი კანონები და მკაცრი ლოგიკა აქვს. ამ ლოგიკიდან გამომდინარე კერძო ადამიანის უბედურება, სამწუხაროდ, ამ ადამიანის მეტს არავის ადარდებს. როცა ყოველდღიურად ასობით ლტოლვილი, უსახლკარო, ცარიელ-ტარიელი ადამიანი დაეძებს თავშესაფარს, როცა შიმშილი, სილატაკე და უმუშევრობა ყოველდღიურად ქუჩებში ერეკება საცოდავ არსებებს, სამწუხაროდ, აღარავინ ფიქრობს იმაზე, რომ სადღაც, რომელიღაც პეტრეს თუ ივანეს არ აქვს ნორმალური პირობები, რათა იარსებოს, გამრავლდეს, იყოს ბედნიერი.

საქართველოში დღეს ყველა უბედური ოჯახი თავისებურად და მხოლოდ თავისთვის არის უბედური. ომის სამწუხარო კანონზომიერება ესეც გახლავთ.

საქართველოში დღეს აღარავის უკვირს უკანონობა, უსამართლობა და განუკითხაობა. ეს გასაგებიცაა... მაღალ მატერიებზე არავინ საუბრობს მაშინ, როცა ადამიანის სიცოცხლე გაუფასურებულია და ზნეობა დაცემულია.

ამ საყოველთაო უბედურების ფონზე, შესაძლოა, არც ეს კონკრეტული საქმე იმსახურებდეს საჯაროზე გამოტანას, მასში ქართული ბუნებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ყველაზე საზარელი ჩვეულება — შინაური მღვდლის არშენდობა რომ არ გამოსჭვიოდეს. საქართველოს დღეს რაც ჭირს, მეტწილად სწორედ ამ მახინჯი ჩვეულებისაგან ჭირს.

საქმის არსი, მოკლედ, შემდეგშია.

1990 წლის აგვისტოში წერეთლის № 48-ში გარდაიცვალა მოქალაქე რ. ქ. მანოიანი, რომელიც ერთოთახიან ბინაში მარტო ცხოვრობდა. განსვენებულს ჰყავდა ორი ქალიშვილი, რომლებიც საქართველოს გარეთ არიან გათხოვილნი (ერთი სომხეთში, მეორე — მოსკოვში) და ცოლი, რომელთანაც 1984 წლიდან ოფიციალურად იყო განქორწინებული.

მოქ. რ. მანოიანის კარის მეზობლად, ოროთახიან ბინაში ცხოვრობს დოლიძეების ოთხსულიანი ოჯახი: დედა, მამა და დასაოჯახებელი ქალ-ვაჟი, რომლებიც სამოთახიანი ბინის აღრიცხვაზე იმყოფებიან „კვებმანქანათმშენის" ორგანიზაციაში. რაკი ბინათმშენებლობა დროებით შეჩერებულია „კვებმანქანათმშენის" მესვეურებმა წერილობით სთხოვეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს (რომელსაც ეკუთვნის სახლი) უფროსს ბ-ნ რ. ვაშაკიძეს, რათა წილობრივი წესით გადაეცა დოლიძეების ოჯახისათვის გამოთავისუფლებული ერთოთახიანი ბინა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. მოცილე არავინ ჩანდა, რადგან გარდაცვლილი რ. მანოიანის ქალიშვილები საქართველოს გარეთ ცხოვრობენ, ხოლო განშორებულ ცოლს არასოდეს უცხოვრია ბინაში. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ბინა უბრუნდება იმ ორგანიზაციას, რომელმაც დააფინანსა მისი მშენებლობა.

მაგრამ ამაოდ დაშვრნენ. ბინაში მოულოდნელად ჩაწერილი აღმოჩნდა რ. მანოიანის ცოლყოფილი ნინა მანოიანი, რომელმაც ოპერატიულად გადაიკეთა გვარი (ქილიტაურად იქცა), ქართულ ეროვნებაზე მოექცა (ჭეშმარიტად რა „საშინელებას" არ ჩაგადენინებს ბინის სიყვარული) და ყალბი ქორწინების მოწმობით, „კეთილი" ადამიანების ხელშეწყობით ბინაზე უფლება მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ყოვლისშემძლე ქვრივს, რაღაც მანქანებით უკვე აქვს მოპოვებული ორი ბინა დ. აღმაშენებელზე (ყოფ. პლეხანოვი) და სულაც არ განიცდის უბინაობას.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, საქმე სასამართლომდე მივიდა.

1991 წლის 1 მაისს დიდუბის რაიონის სასამართლომ (მოსამართლე მ. კოტრიკაძე) ბინა ნ. ქილიტაურს (მანოიანს) მიაკუთვნა. მოქ. ნ. დოლიძე-კვაჭანტირაძემ გაასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილება ქალაქის პროკურატურაში. ქალაქის პროკურორმა (ქურდაძე) მოითხოვა „1991 წლის 1 მაისის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება" და საქმე ახალი განხილვისათვის დაუბრუნა დიდუბის რაიონის სასამართლოს.

1991 წლის 18 დეკემბერს ახალი შემადგენლობით მოწვეულმა სასამართლომ ნინა ქილიტაური-მანოიანი ცნო სადაო ბინის ფართზე უფლებადაკარგულად.

ეს რომ „დაზარალებულ" ნ. მანოიანი-ქილიტაურის ადვოკატმა ბაბაჯანოვამ შეიტყო, ქოშები უკუღმა ჰყარა, მიდგა-მოდგა და აღძრა სარჩელი მათთვის საზარალო გადაწყვეტილების გაუქმებაზე.

1992 წლის 2 ივლისს სადაო ბინის ტერიტორიაზე (?) დაწყებულ, ხოლო შემდგომ ქალაქის სასამართლოში გაგრძელებულ პროცესზე კვლავ დაუბრუნეს ბინაზე უფლება დაუცხრომელ ნ. მანოიან-ქილიტაურს...

მკითხველის ყურადღება რომ არ გადავღალოთ, მოკლედ ვიტყვი, რომ ეს გაჯანჯლებული საქმე ამით არ მთავრდება. იგი თანდათან იფართოებს ასპარეზს და ამჯერად უზენაეს სასამართლოში იმყოფება. თუ როგორ დასრულდება წერეთლის № 48 ბინის ისტორია, ღმერთმა უწყის. არაა გამორიცხული, რომ გაეროს ექსპერტების ჩარევაც გახდეს საჭირო, რადგან ფანტაზიით აღსავსე მსაჯულ-ადვოკატებმა, შესაძლოა, ეს დავა ეთნოკონფლიქტადაც მონათლონ. ამიტომ, თავშესაცემად რომ არ გავიხადოთ საქმე, ხომ არ აჯობებდა დაგვეტოვებინა უმტკივნეულოდ ეს ბინა ნ. მანოიან-ქილიტაურისთვის და ზედაც, ჩაროზად, ერთიორი ბინაც მიგვეძღვნა?

P.S. ამას წინათ, ერთი ქართველი მწერალი (გვარს ზუსტად ვერ ვიხსენებ, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი) იგონებდა. რამდენიმე წლის წინ მასთან სტუმრად ყოფილა სომეხი მწერალი. როცა შექეიფიანებულან სტუმარს გული გადაუხსნია მასპინძლისათვის და ასეთი რამ უთქვამს: კაცო, რა კარგი ხალხი ხართ ეს ქართველები! თქვენთან ნახევარი მილიონი სომეხი ცხოვრობს ძმური სიყვარულითა და თანხმობით. ჩვენთან კი ერთი ქართველი ცხოვრობდა მთელ ქალაქში და იმდენი ელანძღეთ და ვაგინეთ, სანამ თავიდან არ მოვიშორეთ...

კოკა ლიკლიკაძე

ვახტანგ რაზმაძე:

# „პასუხს აგებენ ქართველი ერის წინაშე ჩადენილი ბოროტებისათვის!

დასასრული

ლებოდეთ — თუ გაზეთში ყველაფრის ჩაყრა შეიძლება, რედაქცია რა საჭიროა?! მკითხველები პირდაპირ სტამბაში მიიტანენ წერილებს და იქ ერთი ტექნიკური მუშაკი შესძლებს მეორე დღეს საზოგადოებას მიაწოდოს, ეგრეთ წოდებული, სახალხო გაზეთი.

რაც შეეხება თქვენს კითხვაში ნაგულისხმევ ირონიას „არ მჯერა, არ მჯერას" შესახებ... არიან ადამიანები, რომელნიც თავისი ურწმუნობით ბიბლიურ ურწმუნო თომასაც კი გააკვირვებენ. თქვენმა ირონიამ ერთი ხალხური თქმა გამახსენა: ცოლს ქმარი მოუკვდა და როგორ გავაგებინოთო, ღამე შინ რომ არ მოუვა, თავად შეიტყობსო. მე იმ გამოთქმის პერიფრაზი შემოგთავაზეთ, რა მიზნით, ალბათ მიმიხვდებით. მათ არ სჯერათ, რომ გამსახურდია პრეზიდენტად არ დაბრუნდება. წესით ქმარდაკარგული ცოლივით დღემდე უნდა დაეჯერებინათ, რადგან მომბრუნებელი აქამდე მობრუნდებოდა...

არადა, არ სჯერათ. აკი გითხარით, ურწმუნო თომას შეშურდებოდა ასეთი მემკვიდრეების სიმტკიცე. ამ ავადმყოფობას, მოგეხსენებათ, ფანატიზმი ჰქვია, ფანატიზმს კი უვიცობა ჰკვებავს. საბედნიეროდ, ჩვენი ხალხის მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა ამ მდგომარეობაში.

**— სადმე რაიმე ექსცესი ხომ არ მომხდარა არჩევნების ჩაშლის მიზნით?**

— ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების, პრესისა და ტელევიზიის სასახელოდ უნდა ითქვას, ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ არჩევნები საქართველოს ამ პირობებშიც კი ისე ჩაეტარებინა, როგორც გონიერ ერს შეჰფერის. თუ სადმე უბნებში კომისიის წევრთა მიერ რაიმე უმნიშვნელო დარღვევას ჰქონდა ადგილი, ამაზე ჩვენ პასუხს ვერ ვაგებთ. რაზედაც პასუხისმგებელნი ვიყავით, პირნათლად შემიძლია განვაცხადო, ჩვენი ვალი პატიოსნად მოვიხადეთ.

**— ბატონო ვახტანგ, დიდ მადლობას გწირავთ საუბრისათვის და ვიტოვებ უფლებას ექვსი-შვიდი თვის შემდეგ კვლავ შეგხვდეთ. დღეს ვითარება ასეთია, ადამიანებს სამართლისა და სამართლიანობის არ სწამთ. ახალი პარლამენტის მუშაობისა, თქვენი, და საზოგადოდ, სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევის შედეგად უნდა მოხერხდეს რწმენის აღდგენა გაუბედურებულ ხალხში. თუ ეს ასე არ მოხდა, იმ ექვსი-შვიდი თვის შემდეგ ყველამ ქუდი უნდა დავიხუროთ და წავიდეთ, განვაცხადოთ, რომ ხალხს იმედი ვერ გავუმართლეთ.**

ჩემის აზრით, მომავალი მთავრობის ყველა წევრმა ხმამაღლა უნდა თქვას რა დროში რას უნდა ელოდოს მისგან ხალხი. ამ დროის გასვლის შემდეგ კი ერთგვარი ანგარიშით წარსდგეს თავისი ერის წინაშე. აი, სწორედ ამ მიზნით გეახლებით იმ ექვსი-შვიდი თვის შემდეგ. ღმერთმა ქნას მომავალში ჩვენი საუბარი აღარ შეეხოს ანარქიას, ქაოსს, დივერსიებს, რაც დღეს არის გამეფებული. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ? (რესპუბლიკის პროკურორი იცინის და მოკლე პასუხით ამთავრებს ჩვენს გრძელ საუბარს)

— ჯერ დაველოდოთ პარლამენტის სხდომას...

29 ოქტომბერი, 1992 წ.

# სსფ-ს დარბაზის სხდომა

28 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა, რომელიც ძირითადად განვლილი საპარლამენტო არჩევნების შედეგებს მიეძღვნა.

პირველად დამსწრეებმა მოისმინეს სახალხო ფრონტის საარჩევნო კომისიის ანგარიში, რომელშიც ხაზგასმული იყო არა მხოლოდ უკვე გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემები არჩევნების შესახებ, არამედ ის გარემოებაც, რომ აღინიშნა კანონის დარღვევის რამოდენიმე ფაქტი (მათ შორის უხეშისაც) და არც ერთი არ იყო ბლოკ „11 ოქტომბერის" სასარგებლოდ; რომ „11 ოქტომბერმა" თბილისში პირველი ადგილი დაიკავა, მაგრამ მისი ძირითადი კონკურენტის — ბლოკ „მშვიდობის" საბოლოო გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა არაქართული მოსახლეობის მხარდაჭერამ (მან, მაგალითად, ქვემო ქართლში დიდი უპირატესობით გაუსწრო ყველა დანარჩენ ბლოკსა თუ პარტიას). შემდეგ სიტყვა მოხსენებისთვის მიეცა სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს ბ-ნ ნოდარ ნათაძეს. მან აღნიშნა, რომ „ეროვნულ ძალებს" (ანუ მათ, ვინც თავიდანვე ჩართული იყო ეროვნულ მოძრაობაში) მოუწევთ ახალ პარლამენტში ცალკე ფრაქციის შექმნა, რომელიც, მისი აზრით, საერთოდ რაოდენობის დაახლოებით 1/3-ს შეადგენს. იგი, თუმცა უმრავლესობას ვერ წარმოადგენს, მაგრამ საიმედო გარანტი იქნება იმისა, რომ შეაჩეროს კონსტიტუციური ცვლილებები და სხვა მნიშვნელოვანი კანონპროექტების განხილვა და დამტკიცება, თუკი ისინი შეეწინააღმდეგებიან საქართველოს ინტერესებს. ამ ფრაქციის ძირითად ამოცანად ბატონმა ნოდარ ნათაძემ „ჭეშმარიტების კონსტატაცია" დასახა.

ორატორს ფრაქციის სავარაუდო პარტიულ ან პიროვნულ შემადგენლობაზე ყურადღება არ გაუმახვილებია, მხოლოდ აღნიშნა, რომ არაა აუცილებელი, იგი დაკომპლექტებული იყოს დეპუტატთა პარტიული ნიშნის მიხედვით. ბ-ნმა ნოდარ ნათაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ფრაქცია ალბათ იმავე ტაქტიკას აირჩევს, რასაც „ეროვნული ძალები" „გუმბარიძის პარლამენტში" მიმართავდნენ — რაიმე მნიშვნელოვანი კანონპროექტის განხილვის წინ ისინი სხვა დეპუტატებს იწვევენ შეკრებაზე, სადაც თავიანთ პოზიციას განუმარტავდნენ და ამათ ხშირ შემთხვევაში მათ მხარდაჭერას აღწევდნენ.

გამომსვლელის აზრით, ახალი პარლამენტის მიერ განსახილველი ძირითადი კანონპროექტია „კანონი ხელისუფლების შესახებ", რომლის წინასწარ შემოთავაზებულ ვარიანტსაც მან „ბარბაროსული" უწოდა: პროექტი, კერძოდ, ითვალისწინებს სახელმწიფო საბჭოს შექმნას, რომელსაც სათავეში პარლამენტში თავმჯდომარე ჩაუდგება, ხოლო დანარჩენი თორმეტი წევრიდან ოთხს თავად დანიშნავს, ოთხს — მისი წარდგენით მინისტრთა კაბინეტი, ოთხს — რესპუბლიკის პარლამენტი. „ეს იქნება ერთპიროვნული ხელისუფლება ერთპიროვნული პასუხისმგებლობის გარეშე" — აღნიშნა ნ.ნათაძემ.

უპირველესი მოთხოვნები, რასაც მომავალი „ეროვნული ძალების" ფრაქცია პარლამენტის წინაშე წარადგენს, ბატონი ნოდარის აზრით, იქნება პარლამენტისა და მისი თავმჯდომარის ფუნქციების გამიჯვნა; ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის აღდგენა; საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების სტატუსის განსაზღვრა და მათი გაყვანის მოთხოვნა; სამანეთო ზონიდან გამოსვლა (ანუ ეროვნული ვალუტის შემოღება, რადგან არსებულ სამანეთო ზონაში ყოფნა დღეს ქვეყნისთვის აღარ არის მომგებიანი); ადგილობრივი მმართველობის პრინციპების განსაზღვრა და სხვ. ყველა ეს საკითხი ძირითადად კარგადაა ჩამოყალიბებული ედუარდ შევარდნაძის წინასაარჩევნო გამოსვლაში, მაგრამ ახლა უნდა მოხდეს ასეთი მიდგომების დაკანონება.

დასასრულ ბატონმა ნ. ნათაძემ კვლავ აღნიშნა რომ მომავალი საპარლამენტო ფრაქციის ძირითადი ამოცანა „სიმართლის თქმა" იქნება, თუმცა იგი ყველა სხვა პოლიტიკურ ძალასთან თანამშრომლობას შეეცდება.

შემდეგ გაიმართა კამათი. სიტყვებით გამოვიდნენ სახალხო ფრონტის გორის, თბილისის ისნის რაიონის, დუშეთისა და სხვა რეგიონთა წარმომადგენლები. მათ პრინციპულად დააყენეს ადგილობრივ მმართველობით ორგანოებში მომავალი არჩევნების საკითხი. გამომსვლელებმა განვლილი არჩევნების გამოცდილების გათვალისწინებით გამოხატეს თავიანთი თვალსაზრისი ამ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ, იმსჯელეს სახალხო ფრონტის სამოქმედო ტაქტიკაზე ამ მომავალ არჩევნებში. შემდეგ დარბაზის წევრის, ჩხოროწყუს რაიონის გამგეობის თავმჯდომარის ბ-ნ გოგი სორდიას წინადადებით ამ საკითხების დეტალურად განსახილველად და სახალხო ფრონტის საერთო პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად ჩატარდა დარბაზის საგანგებო „დახურული" სხდომა.

სხდომამ აფხაზეთში ომისა და რუსეთის ჯარის სტატუსის შესახებ მიიღო მიმართვის ტექსტი.

თენგიზ გოგოტიშვილი

შაბათს, 31 ოქტომბერს, 14 საათზე შედგება საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის დახურული სხდომა.

## განცხადება

დარბაზის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს სახალხო ფრონტის საორგანიზაციო განყოფილება.

## რეკლამა

• თქვენს ხელთაა წიგნი — „ძალა იყოს თქვენის მკვდრისადა!" დააკვირდით მის გარეკანს: ეს წამია კისერზე ტროსმოდებული ილიჩი მოსხლტა კვარცხლბეკს და თვალისდახამხამებაში ზღართანს მოადენს დღევანდელ „თავისუფლების მოედანზე". აღსრულდა!..

ამ წიგნში აკინძულია ლენინის იდეოლოგიური მემკვიდრეობის სასამართლო პროცესის სტენოგრაფიული ჩანაწერები. გახმაურებულ პროცესზე მთავარ ბრალმდებლად გამოდის გამოჩენილი რუსი მწერალი ვლადიმერ სოლოუხინი, ხოლო დაცვის ადვოკატების როლში — მეტნაკლებად ცნობილი რუსი ისტორიკოსები.

რაც შეეხება ცნობილ ქართველ მწერალს თამაზ წივწივაძეს, იგი ნაფიც მსაჯულად გახლდათ მიწვე-



ული, მაგრამ, როგორც წესი, ვერ უღალატა საკუთარ მრწამსს, გულდასმით მოისმინა ბრალდებისა და დაცვის გამოსვლები და... თვითონაც ბრალმდებლად მოგვევლინა!..

წიგნი საკმაოდ იაფად — ათ მანეთად — იყიდება მაღაზია „საუნჯესა" და რუსთაველის გამზირზე მდებარე წიგნების მაღაზიებში.

## რატომ არ წყალობენ ფრანგულს?

იიმიტომ, რომ თურმე პრაგმატისტული თვალსაზრისით დღეს ინგლისური უფრო გამოსადეგი ენაა, ვიდრე ფრანგული. ასეთია ჩვენი მშობლების შეუვალი შეხედულება ამ საკითხზე, რომელიც არაიშვიათად მძაფრ საპროტესტო აქციებში გადადის და იმით მთავრდება, რომ თბილისში რამდენიმე სკოლაში უკვე გაუქმდა ფრანგული ენის საათები.

როგორც ირკვევა, დღესდღეობით ფრანგულ ენას ყველაზე მეტად არ წყალობენ ე.წ. პრესტიჟულ რაიონებში — ვაკესა და საბურთალოზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფრანგული ენა ყოველთვის ითვლებოდა და ახლაც ითვლება ელიტარულ ენად, ამ უბნებში მცხოვრები ელიტარული ოჯახების ამგვარი, მდაბიურად რომ ვთქვათ, ჩამორჩენილი მიდგომა, ერთობ საკვირველია. როგორც საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს საგანგებო სხდომაზე ითქვა, მდგომარეობა, შესაძლოა, კიდევ უფრო გამწვავდეს, რადგან ზოგიერთი სკოლის მესვეურები ვერ უძლებენ მშობელთა შემოტევებს და თვითნებურად სდევნიან ფრანგულ ენას.

სხდომაზე სიტყვით გამოსულმა „ფრანგებმა" (ასე უწოდებენ ფრანგული ენის სპეციალისტებს) გულისტკივილით ილაპარაკეს ამ პრობლემაზე. აღნიშნეს, რომ, თუ ასე გაგრძელდა შესაძლოა საქართველოში სულ მალე ფრანგულის სპეციალისტი სანთლით საძებნელი აღმოჩნდეს, რითაც უპირველესად, სახელმწიფო ინტერესს ადგება ზიანი — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფრანგულენოვან სამყაროსთან შეუძლებელი გახდება დიპლომატიური კავშირურთიერთობების დამყარებაო.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ თუ არ აღიკვეთა განათლების სისტემაში ამგვარი განუკითხავი ჩარევები, არ არის გამორიცხული რომ ამერიკულ მირაჟებში მონავარდე, პრაგმატისტულად განწყობილმა მშობლებმა სკოლებიდან გამოაბრძანონ ქართული ენაც.

ღმერთო, შენ დაგვიფარე ამგვარი მშობლებისაგან!

ს. იმერი

**ვაცხობ** ნამცხვრებს შეკვეთით ბინაზე
(დამკვეთის მასალით)
დარეკეთ: 62—00—67 (იკითხეთ თინა)

## გამოიწერეთ ალმანახი „დრამატურგია".

ალმანახი „დრამატურგია" შემოგთავაზებთ თანამედროვე ქართული და უცხოელი ავტორების მნიშვნელოვან პიესებს.

ალმანახი „დრამატურგია" გამოვა წელიწადში ორჯერ, ერთი ნომრის ღირებულება 12 მანეთამდეა. მისი ინდექსია — 76048.

ინდექსი 66447
ფასი 5 მან.
რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5 ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილის 93-18-41.
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი